21 მარტი, რომელიც მოძალადე, დამნაშავე ნაციონალური პარტიის ნარჩენებმა „ახალი ფერადი რევოლუციის დღედ“ დანიშნეს, თვითონ ამ ნარჩენების დასამარების დღედ უნდა იქცეს!

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 მარტი, 2015 წელი.

№51 (7696)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დემურ გიორგელიძე: ეკონომიკურ კრიზისზე საუბარი მოგონილია (5)

ლაშა ამირეჯიბი: სუს-ის რიგები სასწრაფოდ გასაწმენდია ნაციონალთა ცრუ ინფორმაციისგან! (7)

ქართული ლარის გაუფასურების პროტაგონისტის ძიებაში... (6)

რა ფაქტორებმა განაპირობეს ეროვნული ვალუტის ვარდნა და ვინ არის დამნაშავე?

რამაზ საყვარელიძე: ნაციონალები მიუღებელია საზოგადოებისთვის (2)

„ისლამური სახალიფო“ – ფსიქოპატთა თავშეყრის ადგილი თუ?.. (4)

აფხაზეთს ცხინვალის რეგიონიც მიაყოლეს

კრემლში რუსეთსა და ცხინვალის რეგიონს შორის ე.წ. შეთანხმებას მოეწერა ხელი

კრემლში რუსეთსა და ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ე.წ. შეთანხმებას მოეწერა ხელი. ხელშეკრულებას ხელი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა ორმხრივი მოლაპარაკებების ფარგლებში მოაწერეს ხელი.

დოკუმენტი, რომლის ხელმოწერა აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში იგეგმება, რუსეთსა და მის მიერ ოკუპირებულ რეგიონს შორის თითქმის ყველა სფეროში უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

რუსეთსა და ცხინვალის რეგიონს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ე.წ. ხელშეკრულება 25 წლის ვადით ფორმდება. მსგავს შეთანხმებას ოკუპირებულ აფხაზეთთან გასული წლის ნოემბერში მოეწერა ხელი.

სამცხე-ჯავახეთში საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული პროექტები (3)

◎ მიხვდნენ!

თვითკრიტიკა!

ნაციონალების მთავარი საინფორმაციო-იდეოლოგიური იარაღი „რუსთავი-2“ უტიფრად განაგრძობს მაყურებლის „ტვინის გამორეცხვას“, აშკარად ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას და დამნაშავე ნაციონალების „გათეთრებას“.

ფრთხილად, მაყურებელო! – თქვენ წინ გესლით და შხამით სავსე მიშას ჯიბის ტელევიზიაა, გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, არ უყუროთ მას!

„რუსთავი-2“-ის ჯოჯოხეთის მოციქულები

ნიკა გვარამია, გიორგი გაბუნია, ეკა კვესიტაძე.



ეჰ, ვახტანგ, ვახტანგ კიკაბიძევ! (8)

„ცოლს ვუთხარი, ვთხოვოთ უკრაინას პოლიტიკური თავშესაფარი-მეთქი. ისიც დამეთანხმა – კარგიო, მითხრა. მე აქ ყველა ქართველს ვიცნობ და ვთვლი, რომ კარგი გუნდია შეკრებილი“.

◎ მწერალი რედაქციაში

შეიქმნება მხატვრული ფილმი დავით აღმაშენებელზე?!. (9)

ნადირაშვილი ვირეშმაკობას არ იშლის და საზოგადოებას ცრუ ინფორმაციას აწვდის

ნაციონალური მოძრაობა მთავრობის ადმინისტრაციის მე-11 სართულისთვის შესყიდული რბილი ავეჯის შესახებ ფინანსურ ინფორმაციას აქვეყნებს.

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ნადირაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, შექმნილი ფინანსური კრიზისის პირობებში პრემიერ-მინისტრისთვის იტალიაში დეკემბერში განხორციელებული შესყიდვების საფუძველზე 181 401 ლარის რბილი ავეჯი შეიძინეს.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა აღნიშნა, ეს ავეჯი ადრე იყო ნაყიდი.

„მინდა, გითხრათ, რომ ეს არის ადრე ნაყიდი. თავისთავად ცხადია, რომ ავეჯი საჭიროა იმისთვის, რათა ფუნქციონირება სახელმწიფო კანცელარიამ გააგრძელოს ნორმალურ ვითარებაში. თქვენ იცით, რომ იქ რემონტი მთავრდება და თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ხარჯებისგან არავინ არ არის დაზღვეული“, — განაცხადა ხადურმა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მაია ცქიტიშვილის განცხადებით, ირმა ნადირაშვილმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელა. როგორც ცქიტიშვილმა ნადირაშვილის საპასუხოდ განაცხადა, ნამდვილად იქნა გაფორმებული ორი ხელშეკრულება დეკემბერში ავეჯის შესყიდვასთან დაკავშირებით, თუმცა, ეს ავეჯი ირაკლი ღარიბაშვილისთვის არ არის განსაზღვრული.

„ავეჯი არ არის შეძენილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილისთვის, ეს ავეჯი არის შეძენილი იმ სივრცისთვის რომელიც არ გვქონდა მთავრობის ადმინისტრაციაში. არ გვქონდა შესაბამისი სივრცე, რომელიც იყო საჭირო მაღალი რანგის სტუმრების მისაღებად. პროტოკოლით არის გათვალისწინებული სხვადასხვა ფორმატები, რაც ითვალისწინებს როგორც პირისპირ შეხვედრებს, ისე დელეგაციის შეხვედრებს. ადმინისტრაციის მიმდინარე რემონტის ფარგლებში, ბუნებრივია, ვაწყობთ ასეთ სივრცეებს, რომელთაც სჭირდებათ შესაბამისი აღჭურვილობა“, — განაცხადა ცქიტიშვილმა.

ათონელის რეზიდენციის რბილი ავეჯისთვის მილიონნახევარ ლარზე მეტი დაიხარჯა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ინფორმაციას აქვეყნებს, თუ რამდენი დაიხარჯა ათონელის რეზიდენციის ავეჯისთვის. როგორც ჟურნალისტებს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა განუცხადა, მხოლოდ რბილი ავეჯისთვის მილიონნახევარ ლარზე მეტი იყო დახარჯული, ხოლო მხოლოდ სანათებზე მილიონ ლარზე მეტი.

„ჩვენ ასეთი ინფორმაციებს საიდუმლო გრიფს არ ვადებთ. როდესაც ათონელის რეზიდენციას ავხსენით გრიფი, შემდეგი ინფორმაცია აღმოჩნდა: 1 დივანი — 23 000 ლარად იყო შესყიდული, ასევე 1 დივანი — 20 000 ლარად, საწოლი — 14 000 ლარად, ასევე სამი საწოლი დამატებით რაშიც ათასობით ლარი დაიხარჯა, სავარძელი — 14 000 ლარად, სანათები — 37 000 ლარად, ერთი სანათი — 34 000 ლარად და ა.შ. ჯამში ათონელის რეზიდენციისთვის მილიონ ნახევარ ლარზე მეტი იყო დახარჯული ავეჯისთვის. მხოლოდ სანათებზე მილიონ ლარზე მეტი იყო დახარჯული“, — განაცხადა ცქიტიშვილმა.

იქმნება ექსპორტის ხელშემწყობი სააგენტო

საექსპორტო ბაზრებზე ორიენტირებული ადგილობრივი კომპანიების დასახმარებლად, საპარტნიორო ფონდი ექსპორტის ხელშემწყობ სააგენტოს სტრუქტურაზე მუშაობს.

ეს, ამ მიზნით საერთაშორისო კონსულტანტი — ექსპორტის ხელშეწყობის ცნობილი იტალიური სააგენტო „საჩე“ (SACE) შეარჩია, რომელთან ერთადაც საპარტნიორო ფონდი მომდევნო სამი თვის განმავლობაში სააგენტოს სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და იმ პროდუქტებისა და პროცედურების შექმნაზე იმუშავებს, რომელიც საქართველოში ექსპორტიორების ფინანსირებას ხელს შეუწყობს.

„ეს საშუალებას მოგვცემს, შემდგომი განვითარებისა და გაფართოების პერსპექტივით პირველ ეტაპზე შევქმნათ მინიმუმ 4 პროდუქტი, როგორებიცაა ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით საკრედიტო დაზღვევა, დოკუმენტური დაკრედიტება, ფაქტორინგული ოპერაციები, ფინანსური გარანტიები. ზოგადად პროდუქტები, რომლებიც დაკავშირებულია ექსპორტიორი კომპანიების საკრედიტო რისკების დაზღვევასა და ამ რისკების გადანაწილებასთან“, — განაცხადა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ.

ფონდში ვარაუდობენ, რომ სააგენტო სამი თვის განმავლობაში შეიქმნება. ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო საპარტნიორო ფონდის ბაზაზე შვილობილის სტატუსით ჩამოყალიბდება.

◎ კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ!

დღეს ნაციონალები მიუღებელია საზოგადოებისთვის

შსს უკვე მობილიზებულია ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილ აქციაზე წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად. ძალოვანი უწყება მოქალაქეებს მოუწოდებს, არ დაარღვიონ საზოგადოებრივი წესრიგი და კანონის ფარგლებში იმოქმედონ, წინაალმდეგ შემთხვევაში, კანონის შესაბამისად დაისჯება ყველა სამართალდამრღვევი პირი. შინაგან საქმეთა მინისტრს უკვე მიმართა პრემიერ-მინისტრმა, რომ არ უნდა დაუშვან არც ერთი პროვოკაცია და ნებისმიერი პროვოკაცია დაუყოვნებლივ აღიკვეთოს.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობა მიუღებელია საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილისთვის და შესაბამისად, ხელისუფლებაში სერიოზული რყევების საფუძველი არ არსებობს.

— პრემიერ-მინისტრმა შს მინისტრს მიმართა, რომ ნებისმიერი პროვოკაცია დაუყოვნებლივ უნდა იყოს აღკვეთილი. აქციამდე ერთი კვირით ადრე ისევ გამოჩნდა ხელკეტები, კვერცხების სროლა, დასისხლიანებული ადამიანები, საკმაოდ ნაცნობი სურათია. ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, რა დგას ამ ძალადობის უკან, პროცესები პროვოცირებულია თვითონ ნაციონალური მოძრაობის მიერ?

— ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, როგორ ესმის ამა თუ იმ მხარეს 21 მარტის მოვლენები. თუ ხელისუფლება ჩათვლის, რომ ნაციონალების მიზანი არის ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნა, რა თქმა უნდა, დესტაბილიზაცია ნებისმიერი ხერხით უნდა აღიკვეთოს. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ აქ იყოს ხაფანგი დაგებული. პოლიტიკაში ასეთი ხაფანგი ხშირად იგება, როცა ერთი მიმართულებით გაფიქრებინებენ და მეორე მიმართულებით აკეთებენ. შეძახილი — „გადადგეს ხელისუფლება“, ამით ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხი რომ არ დადგება, ვინ, ვინ და ეს ყველაზე კარგად ნაციონალებმა იციან.

— ასეთი შეძახილით შედეგს ერთხელ მიაღწიეს, ვგულისხმობ „ვარდების რევოლუციას“...

— კი ბატონო, მაგრამ ის „ვარდების რევოლუცია“ შევარდნაძის წინააღმდეგ ლამის, ოთხი წელი მზადდებოდა. ასე ცარიელ ადგილას, მარტო დაპირებით ეს არ კეთდება. დაპირებას წინ რაღაცა სამუშაო უნდა უძღოდეს, რისი გაკეთების შანსი დღეს ნაციონალებს არა აქვთ. თუ ვინმეს მიმართ არის დღეს უარყოფითი დამოკიდებულება, ეს არის ნაციონალების მიმართ. ასე რომ, ნაციონალებს ორიენტაცია ახლო პერსპექტივაზე არა აქვთ და არც უნდა ჰქონდეთ.

რაც შეეხება დაძახებას, რომ მოვიშოროთ ხელისუფლება, ეს აშკარად პოლიტიკური განაცხადია, თან — რადიკალური პოლიტიკური ძალის მიერ.

საკმარისია, ამ განცხადების მერე დაიჭირონ ერთი კაცი, ან ხელისუფლებამ თავისი კუნთები გამოაჩინოს, მაშინვე დაიწყება ყვირილი, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა. „ხელისუფლება არის უმოქმედო და უნიათო“, — ეს არის ქართველი ამომრჩევლისთვის შეთავაზებული ფორმულა, რაც შეეხება იმას, რომ პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილი, ეს უკვე არის

უცხოეთისთვის შეთავაზებული ფორმულა, რომ მერე უცხოეთში ამა თუ იმ სტრუქტურამ გააკეთოს განცხადება, — საქართველოში პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილი და თუ გინდათ ევროპასთან სიახლოვე, მაშინ პოლიტიკური დევნა უნდა აღიკვეთოს.

— ნაციონალებმა მიაღწიეს მიზანს, ძალიან მაღალი ტრიბუნიდან კეთდება განცხადება, რომ ყოფილი ხელისუფლების მიმართ არის პოლიტიკური დევნა. ეს არ არის ამ ხელისუფლების მარცხი?

— რასაკვირველია, ეს არის ხელისუფლების მარცხი. ამიტომაც, სასურველია, რომ ხელისუფლებამ მინიმუმამდე დაიყვანოს ნებისმიერი ძალადობრივი რეაქცია. ზოგადად, რაც შეეხება პროცესებს, რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის ხელისუფლების ბრალი და ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ამდენი პროკურორი იცვლება, საქმეები კი, ფაქტობრივად, წინ არ მიდის.

რთული სიტუაციაა, ახლა მოიფიქრეს, რომ გახმაურებული საქმეების გამოძიებისთვის შეექმნათ ცალკე სტრუქტურა. რად უნდოდა ამას ორი წელი? შეექმნათ ეს სტრუქტურა თავიდან. აშკარად სახეზეა დაბალი ტემპი რეაგირებისა, რაც ბევრ პრობლემას ქმნის.

— ნაციონალები შეეცდებიან ქუჩიდან ძალაუფლების ხელში აღებას? ფაქტია, რომ ამის გამოცდილება აქვთ...

— მაშინ, როდესაც ნაციონალებმა ხელისუფლება მოიპოვეს ქუჩიდან, იმ ქუჩის პროცესს წინ უძღოდა თითქმის 4-წლიანი გაშლილი საინფორმაციო ომი. საზოგადოებაში ადამიანი არ იყო, რომელიც ხმამაღლა იტყოდა, რომ შევარდნაძის მხარეს იდგა. საზოგადოებაში სირცხვილი გახდა შევარდნაძის მხარდაჭერა — აი, ეს მართლა დიდი მონაპოვარი იყო. მერე, უკვე, ქუჩიდან ხელისუფლებამდე მისვლა ტექნიკური საკითხი იყო. დღეს ეს სიტუაცია ნაციონალებს არა აქვთ. დღეს ნაციონალები მიუღებელია საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილისთვის. ამიტომ, არ მინაჩინია, რომ სერიოზული რყევების საფუძველი არსებობს.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● სადმე მინდორში რომ გავიდნენ ნაცები და მეოცნებეები თავიანთი მხარდამჭერებით და კოდლა-კოდლაზე რო დასცხონ ერთმანეთს, არა?

ტრიბუნებსაც გავაკეთებდით მაყურებლებისთვის, ტელევიზიებიც პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ.

ხალხი ისიამოვნებდა და სანამ ტრამვებს მოიშუშებდნენ, დაისვენებდა...

● მთავრობის მიერ გაკეთებული საქმეების რეკლამა გადის „რუსთავი-2“-ზე.

1. თუ „რუსთავი-2“ სიცრუის ტირაჟირებას ახდენს, გამოდის, რომ ის, რასაც იმ რეკლამაში გვაჩვენებენ, ტყუილია.

2. თუ ის, რაც იმ რეკლამაში გადის მართალია, მაშინ „რუსთავი-2“ არ იტყუება.

ახლა არ დამიწყოთ, სოფისტი ხარო დ.ა.შ.

რატომ უხდით ფულს კვესიტაძეს, კიკალიშვილს, ჯულიეტოვიჩს თქვენთვის „სასურველი“ გადაცემების მომზადებაში? თქვენი ფული გადაუხადეთ რამდენიც გინდათ, ბიუჯეტის ფულს ნუ იხდით!!!

გეყურებაااااათ?!

● ანტიკურ საბერძნეთში მონებს ათრობდნენ და ბავშვებს აჩვენებდნენ იმიტომ, რომ მათ სცოდნოდათ ლოთობის ამაზრზენი მხარე.

ბავშვებს მარტო ნაცები კი არ უნდა ვაჩვენოთ, კარგი რაღაცეებიც, შედარება რომ მოახდინონ, მაგრამ ეს კარგი სად ვიპოვოთ?

● 21-ში უკრაინა გვაღიარებს!

● ვუყურებ „მარაოს“, თიკო სადუნიშვილია სტუმრად გიო ხუციშვილთან.

ჰოდა, გიო ანახვებს ორლულიან იარაღს.

სადუნიშვილი ეკითხება — გისვრია ადამიანისთვის?

გიო — კი, ომში.

სადუნიშვილი — რომელ ომებში დადიხარ ხოლმე?

გიო— აფხაზეთის ომში ვიყავი.

თიკო — შენთვის უსვრიათ?

გიო — კი, ორჯერ.

თიკო — გადარჩი?

● არასამთავრობოებთან ყოფნა ცხოვრებისგან გამიჯვნაა, — უსუფაშვილს უთქვამს.

ღმერთო მომკალი, ეს რამ ათქმევინა?!

შეეშალა ნეტავ თუ მე მეშლება?

● ახლა გამახსენდა:

„მას შემდეგ, რაც თქვენ გცემეს „თავადურში“, საქართველოში თუ ყოფილხართ“-ო? — ასეთი კითხვის დამსმელს, ვისაც არ უნდა ეკითხებოდეს, ჰქვია ჟურნალისტი?!

● ბავშვებისთვის ცოცხის გარჭობის ჩვენება, რაღაც კონვენციით საშინელი დარღვევა ყოფილა, ხოლო გარჭობა — არა!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ წინ, საქართველო!

ციფრები თავად ღაღადებენ!..

2012 წლიდან დღემდე საქართველოს მთავრობამ სამცხე-ჯავახეთში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა.

სამცხე-ჯავახეთში საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული პროექტები

რეგიონში შესრულებულია 600 ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის – განხორციელდა 93 გზის, 14 ხიდის, სასმელი წყლის სისტემების 142 ობიექტის და სარწყავი სისტემების 35 ობიექტის რეაბილიტაცია; გარე განათება მოეწყო 15 ობიექტზე; რეაბილიტაცია ჩაუტარდა საკანალიზაციო სისტემების 4 ობიექტს და სპორტულ სტადიონებს, საყოფაცხოვრებო, სანიაღვრე-სადრენაჟო, ნაპირსამაგრი და სხვა დანიშნულების 157 ობიექტს. 2015 წელს დაგეგმილია 726 -მდე ინფრასტრუქტურული პროექტი.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რეგიონში გაიხსნა 5 ახალი საწარმო; გადაიარაღდა 33 საწარმო; დასაქმდა 345 ადამიანი და შეიქმნა 94 კოოპერატივი; ფუნქციონირებს მექანიზაციის სერვისცენტრი 70 ერთეული ტექნიკით; ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკისა და წყლის (სურსათის შემოწმების ლაბორატორია; ვაჩიანის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; გაიხსნა სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული ცენტრი; 2013-2014 წლებში გაიცა 90 562 სასოფლო-სამეურნეო ბარათი. 2015 წელს დაგეგმილია 9 სარწყავი არხის რეაბილიტაცია.

რაც შეეხება განათლების სფეროს, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 60-მდე საჯარო სკოლას და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს; გაზიფიცირდა 40-მდე სკოლა; აშენდა ახალი სკოლა სოფელ ბუღაშენში; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 22 ბაგა-ბაღს; მიმდინარეობს 30 სკოლის რეაბილიტაცია; სკოლის მშენებლობა სოფელ არალში; ათობით სკოლაში სამედიცინო კაბინეტები მოეწყობა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა რეგიონში ჯანდაცვის მიმართულებით. სამცხე-ჯავახეთს სასწრაფო დახმარებას 13 ახალი მანქანა გადაეცა; გაიხსნა 6 ახალი ამბულატორია; საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში დაზღვეულია 101 344 ადამიანი; 82 სოფლის ექიმსა და 141 ექთანს დაფინანსება გაეზარდა; C ჰეპატიტის სამკურნალო პროკრამის ფარგლებში 60%-იანი ფასდაკლებით შეძენილია 223 პეგილირებული ინტერფერონი; გაზრდილ სოციალურ დახმარებას იღებს 3 307 ოჯახი; კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 92-მა ოჯახმა მიიღო დახმარება; შშმ პირებისთვის გაიცა 77 ერთეული დამხმარე საშუალება; დიპლომის შემდგომი განათლება ფინანსდება 4 ქალაქში.

სამცხე-ჯავახეთში არაერთი სიახლეა ენერგეტიკის სფეროში - ინდივიდუალური მრიცხველები დაუმონტაჟდა 9 897 აბონენტს; გაზიფიცირდა 3 520 აბონენტი; ელექტროფიცირდა 1 უშუქო სოფელი; პირველი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში ბოლო 35 წლის განმავლობაში – „ფარავან ჰესი“, ექსპლუატაციაში შევიდა; სხვადასხვა სამუშაოებზე დასაქმდა 1000-ზე მეტი ადამიანი, რომელთა 60% ადგილობრივი მცხოვრებია; ჰესის გახსნის შემდეგ 35 ადამიანი დასაქმდა; აშენდა თურქეთთან დამაკავშირებელი 400-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი და 500-კილოვოლტიანი ქვესადგური „ახალციხე“.

რეგიონში აქტიურად ახორციელებს პროექტებს დევნილთა სამინისტრო. უწყებამ მენაშენეებისგან 33 ბინა შეისყიდა, რომლებიც დასრულების შემდეგ დევნილებს გადაეცემათ; გარემონტებული ბინები უკვე გადაეცა 18 ოჯახს; ბინა გადაეცემა ახალციხეში – 66 ოჯახს, ბორჯომში – 63 ოჯახს; ბინები დაუკანონდა 50-მდე დევნილ ოჯახს, ხოლო 2015 წელს კიდევ 170-მდე დევნილ ოჯახს დაუკანონდება.

გარდა ამისა, 2014 წელს ახალციხეში ჩატარდა „მესხეთის საფეხბურთო ფესტივალი 2014“; აშენდა რაგბის ბაზა და 480 მაყურებელზე გათვლილი, ბუნებრივსაფარიანი მოედანი ასპინძაში;

ასევე, რეგიონში გაიხსნა პრობაციის ბიუროს ახალი ოფისი, პრობაციონერთა სარეგისტრაციო და ინდივიდუალური გასაუბრების ოთახები, ოფიცერთა, სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგის კაბინეტები; დაინერგა ვიდეოპატიმნის ტექნოლოგია; მიმდინარეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამები, მათ შორის ქართული ენის შემსწავლელი კურსები;

რაც შეეხება ძალოვანი უწყებების მიერ განხორციელებულ პროექტებს, აღსანიშნავია, რომ 2014 წელს აშენდა შსს-ს სამმართველოს 2 სასაზღვრო სექტორი დამხმარე შენობა-ნაგებობებით – კარწახსა (საქართველო-თურქეთის საზღვარი) და სამებაში, (საქართველო-სომხეთის საზღვარი); ასპინძაში გაიხსნა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამედროვე სტანდარტების შენობა; ახალქალაქში დაიწყო სამხედრო ბაზის მშენებლობა;

იუსტიციის სამინისტროს ძალისხმევით, გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრი სოფელ ფოკაში; მოსახლეობა სარგებლობს საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით. 2016 წელს ახალქალაქში იუსტიციის სახლი გაიხსნება.

აგვისტოს ომის დროს ხანძრით გადამწვარი ბორჯომის ტყის აღდგენის მიმართულებით აქტიურად მუშაობს გარემოს დაცვისა და ბუნებივი რესურსების სამინისტრო; პროექტ „მწვანე მომავლის“ ფარგლებში სამცხე-ჯავახეთში დაირგო ხის 18 500 ნერგი; ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში შეკეთდა ვიზიტორთა თავშესაფრები; საპიკნიკე ადგილები; რეინჯერთა საგუშაგოები; დამონტაჟდა განათებები; დასრულდა სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა ბორჯომში; მიმდინარეობს ტყის ინვენტარიზაცია; აშენდა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის შენობა; ვიზიტორთა ცენტრში უახლოეს მომავალში საგამოფენო დარბაზი მოეწყობა.

რაც შეეხება კულტურის სფეროს, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, დაიწყო ვარძიის უნიკალური კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის 4-წლიანი პროექტი; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 29 კულტურის სახლს; სამხატვრო ინვენტარი სამხატვრო სკოლებს გადაეცათ; კლასიკური მუსიკალური ინსტრუმენტებით აღიჭურვა მუსიკალური სკოლები; კინოჩვენებისათვის საჭირო ტექნიკური აპარატურით აღიჭურვა ახალქალაქი და ნინოწმინდა; შემუშავდა 2015-17 წლების სამოქმედო გეგმა; იწყება სამცხე-ჯავახეთის ტურისტული პოტენციალის ამოქმედების პროგრამა, გათვალისწინებულია 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია; მსოფლიო ბანკის თანადაფინანსებით განხორციელდება ბორჯომის ისტორიული მუზეუმის აღდგენა;

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა რეგიონის ეკონომიკური განვითარების მიმართულებით – მიმდინარეობს ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა; ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე სატესტო მატარებელმა უკვე გაიარა; ლიკანში გაიხსნა „რიქსოს ბორჯომის“ 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო; მშენებლობის დროს ობიექტზე 600-მდე ადგილობრივი მოსახლე დასაქმდა; ამჟამად, „რიქსოს ბორჯომში“ 200 ადამიანია დასაქმებული; ბაკურიანში, დიდველზე დამონტაჟდა ხელოვნური გათოვლიანების სისტემა; სათხილამურო სეზონი 5 თვემდე გახანგრძლივდა; დამონტაჟდა სათხილამურო ტრასის ღამის განათება; აშენდა ბავშვთა გასართობი პარკი; მოეწყო 350- ადგილიანი ავტოსადგომი; შეკეთდა საბაგიროს ტიპის „ფუნიკულიორი“; შემუშავდა ერთიანი სააბონემენტო სისტემა გუდაურსა და დიდველზე; დიდველზე დამონტაჟდა მსოფლიოში ლიდერი კომპანიის SKYDATA-ს გამშვები აპარატურა; შემუშავდა ონლაინ გაყიდვების სისტემა **www.multiski.ge**; მოხდა სასრიალო გზების მარკირება, ველობილიკების მოწყობა და მარკირება; გარემონტდა დიდველის კინოთეატრი.

ამჟამად მიმდინარეობს გათოვლიანების მეორე ეტაპი, წყლის რეზერვუარების მშენებლობა დიდველსა და გუდაურში და კოსტას საბაგიროს პროექტირება-მშენებლობა. ასევე, დაგეგმილია მიტარბის საბაგიროს მშენებლობა; ყინულის მოედნის მშენებლობა; ბიატლონის ტრასის მშენებლობა და ტობოგანის მშენებლობა.

government.gov.ge

◎ ძველი ინტერვიუდან

ბორის ნემცოვი: პუტინი და სააკაშვილი ერთმანეთს წააგვანან!

2008 წლის 1 ნოემბერს, რიგის საერთაშორისო კონფერენციაზე, სხვა ევროპელ პოლიტიკოსებთან ერთად, სიტყვით გამოვიდა რუსეთის გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი აწ მოწამეობრივად განსვენებული ბორის ნემცოვი, რომელმაც რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას კრემლის „კატასტროფული შეცდომა“ უწოდა. თუმცა, როგორც გაირკვა, ბორის ნემცოვი მიიჩნევს, რომ 7 აგვისტოს ტრაგიკულ მოვლენებში, ვლადიმირ პუტინი და მიხეილ სააკაშვილი თანაბრად არიან დამნაშავენი. სწორედ ამ შეფასებით იწყება ბორის ნემცოვის ინტერვიუ, რომელიც რუს პოლიტიკოსს რიგაში კობა ლიკლიკაძემ ჩამოართვა.

ბორის ნემცოვი: იცით, მე მაქვს პოზიცია, რომელიც, ალბათ გაგიკვირდებათ, არც დასავლეთშია პოპულარული და არც მოსკოვში. მე ვფიქრობ, რომ პუტინი და სააკაშვილი ერთმანეთს წააგვანან. ცხადია, ამერიკას, რომელიც მთელ მსოფლიოს უნდა დააკვირდეს, როგორც ერთადერთი ზესახელწმიფო, ოკეანის გაღმიდან უჭირს ამ ნიუანსებში გარკვევა. აი, ნახეთ, ცხინვალის წინააღმდეგ ქართველებმა გამოიყენეს მძიმე იარაღი. მანამდე კი ვლადიმირ პუტინმა მშვიდობიანი გროზნოს წინააღმდეგ გამოიყენა „გრადები“. განსხვავებას ხედავთ? მე, მაგალითად, ვერ ვხედავ. ანდა ტელევიზიები ავიღოთ. პუტინმა ხელთ იგდო „ენ-ტე-ვე“ და „ტვ-6“. სააკაშვილმა კი კონტროლი დაამყარა „რუსთავსა“ და „იმედზე“. ან პარლამენტებს დავაკვირდეთ. პუტინი აკონტროლებს პარლამენტს. იქ ორი მესამედი „ედინაია როსიასა“ აქვს. იგივე ხდება საქართველოს პარლამენტში. ან ოპოზიციის მიმართ დამოკიდებულება: პუტინი ძალის გამოყენებით შლის „დაუმორჩილებელთა მარშს“, სააკაშვილი ამასვე სჩადის ოპოზიციის მიტინგების მიმართ. თუმცა, პუტინამდე მას კიდევ ბევრი უკლია. მოკლედ, ისინი, შეიძლება ტყუპები არ იყვნენ, მაგრამ გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. ამიტომ, მე არ მაქვს დამოკიდებულება, რომ აი, ეს ბიჭი კარგია, ის კი – ცუდი. შესაძლოა, მათ ვაშინგტონიდან ასე ეჩვენებათ, მე კი მოსკოვიდან სხვაგვარად ვხედავ.

– პოტენციურ პარტნიორად თუ განიხილავთ ვინმეს ქართულ ოპოზიციაში?

– მქონდა კონტაქტები „ახალ მემარჯვენეებთან“, მაგრამ ახლა თქვენ პრობლემები თავზე საყრელად გაქვთ. ჩემი აზრით, დიალოგი ოფიციალურ კრემლსა და ოფიციალურ თბილისს შორის არ იყო და, სავარაუდოდ, არც იქნება, ვიდრე პუტინი და სააკაშვილი ხელისუფლებაში იქნებიან. მაგრამ დიალოგი ოპოზიციის დონეზე, ვფიქრობ, სასარგებლო საქმეა. და თუ ასეთ დიალოგს ავაწყობთ, ეს ძალიან კარგი იქნება. ჯერჯერობით კი დიდ როლს ასრულებს ქართული ეკლესია, მე ვიტყოდი, ძალიან დადებით როლს. დიდი მადლია, რომ ილია მეორე თქვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი და გავლენიანი ადამიანია. და მადლობა ღმერთს, რომ რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ ჩაიდინა სისულელე და კანონიკურ ტერიტორიებად არ აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

– ანუ თქვენ თვლით, რომ პოლიტიკურად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება სულელური ნაბიჯი იყო?

– პირველ ყოვლისა, მე ვთვლი, რომ პოლიტიკური აღიარება არის გიგანტური შეცდომა და სისულელე. ამასთან, ეს არის შეცდომა რუსეთის შიდაპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებითაც. რუსეთი თავად დგას დაშლის საფრთხის წინაშე. ამჟამად დაშლა არ ხდება, რადგან საქმე გვაქვს გარიგებასთან. პუტინი ჩეჩნეთის პრეზიდენტს რამზან კადიროვს აძლევს ფულს, ხოლო კადიროვი სანაცვლოდ – ლოიალობას უბრუნებს. ერთი სიტყვით, აშკარაა ლოიალობა ფულის წილ. მაგრამ ეკონომიკური კრიზისის გამო ფული ილევა და გარიგება, შესაძლოა, დაირღვეს. ამის შემდეგ კი ჩეჩნები იტყვიან: რით ვართ აფხაზებსა და ოსებზე ნაკლები? თუ მათ მიეცით დამოუკიდებლობა, მაშინ ჩვენც მოგვეცით. გესმით, ეს არის რუსეთის ერთიანობის ქვეშ ჩადებული ნაღმი.

– თქვენ ფიქრობთ, რომ აფხაზეთისა და სამხერთ ოსეთის აღიარება ააფეთქებს ჩრდილო კავკასიას?

– ეს ნაღმი ძალიან სერიოზულია და იგი, შესაძლოა, აფეთქდეს. ზუსტ თარიღს ვერ გეტყვით, მაგრამ რომ აფეთქდება, ამაში ეჭვი არ მეპარება.

– როგორ უყურებთ საქართველოს სურვილს, ნატოში გაწევრდეს? სახიფათოა ეს რუსეთისათვის?

– ჩემი აზრით, არა! იცით, მე ველაპარაკე თქვენს პრეზიდენტს უკრაინაში. ეს იყო ომამდე, ივლისში. ყირიმში შევხვდით ერთმანეთს. სააკაშვილს ვკითხე: რა უფრო მნიშვნელოვანია შენთვის, ნატოში გაწევრება თუ საქართველოს გამთლიანება-მეთქი. მან მიპასუხა: რა თქმა უნდა, საქართველოს გაერთიანებაო. მაშინ, იქნებ ეს იყოს თქვენი პოზიცია პუტინთან მოლაპარაკებაზე-მეთქი, ვუთხარი. მაგალითად, საქართველოს შეაქვს ცვლილება კონსტიტუციაში, რომ საქართველო ნეიტრალური ქვეყანაა. რუსეთი კი, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველო იყოს ერთიანი ქვეყანა. თქვენ ხომ შეგიძლიათ ამის გაკეთება-მეთქი?

– და რა გიპასუხათ სააკაშვილმა?

– საინტერესო იდეაო, მიპასუხა (იცინის). არა, მართლა კარგი იდეაა. მაგრამ ახლა, უნდობლობის, ზიზღისა თუ გაღიზიანების დონე – როგორც გინდათ, ისე დაარქვით – იმდენად მაღალია, რომ ასეთი საუბარი, რაც ომამდე შეიძლებოდა, ამჟამად უკვე პრაქტიკულად უაზრობაა.

კობა ლიკლიკაძე,
რადიო „თავისუფლება“

„ისლამური სახალიფო“ – ფსიქოპატთა თავშეყრის ადგილი თუ?..

„ისლამური სახალიფოს“ საქმენი „საგმირონი“ საზარელ შთაბეჭდილებას ტოვებს ნებისმიერი საღი გონების ადამიანზე. დღიდან „სახალიფოს“ გამოცხადებისა, არც თუ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ამ „სახელმწიფოს“ მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა ფართოდ გაუთქვა მას სახელი. დღეს, უკვე აღარავინ ითხოვს „სახალიფოს“ განმარტებას, ვინაიდან ისე შეეჩვია ყური „ისლამური სახელმწიფოს“ (იგივე „სახალიფოს“) სისტემატურ ხსენებას, ჩვეულებრივად იქცა არარსებული „სახელმწიფოს“ ნამდვილ სახელმწიფოსთან გაიგივება.

„ისლამური სახალიფო“ არა მარტო იმით გახდა ცნობილი – სირიისა და ერაყის ტერიტორიების დიდი ნაწილი რომ დაიპყრო, არამედ იმითაც, აქამდე წარმოუდგენილი სისასტიკე – ხანჯლით ყელის გამოჭრა სატელევიზიო შოუდ რომ აქცია. მსოფლიო საზოგადოება, კვირაში ერთხელ მაინც, ისლამისტთა ტყვეობაში მყოფი ადამიანების სატელევიზიო თავის მოკვეთის აქტის თვითმხილველია.

ცალკეული „დამნაშავის“ თავის მოჭრის სცენას, მასობრივი დასჯის სცენები ცვლის – სხვადასხვა რაკურსით გადაღებული, პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, მაღალ სატელევიზიო დონეზე განხორციელებული.

უყურებ ამ შემზარავ კადრებს და დადგმული სპექტაკლი გგონია. არადა, საინფორმაციო საშუალებების მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით, აშშ-ის, სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების დასტურით, ყველაფერი მართალია. მართალია, ნიღბიანი ჯალათის ნალაპარაკევიც, უმწეო კრავივით დაჩოქილი „დამნაშავის“ სასოწარკვეთილი სახე, უდაბნოს ფონი და დახვეწილი ინგლისური, გერმანული, თუ ფრანგული – ჯალათები რომ ლაპარაკობენ.

მეტადრე ინგლისურენოვანი ჯალათის რაფინირებული ინგლისური ეხამუშება ყურს და არა არაბული. არაბული რომ ყოფილიყო ტელემაყურებელი ჩვეულებრივად აღიქვამდა ჯალათსაც და მის „საქმესაც“. მაგრამ არა, ჯალათების შერჩევის თვალსაზრისით, „სახალიფოს“ გამოგონება (ევროპულ ენაზე ლაპარაკი) დასჯის მთავარი ფაქტორია – ფართო საზოგადოებისთვის შემახსენებელი, რომ „სახალიფო“ მრავალეროვანი „სახელმწიფოა“ – ერთი მრწამსით შედუღაბებული.

„სახალიფო“ ინტერნაციონალური „სახელმწიფოა“. ვინ არ ცხოვრობს და იბრძვის იქ – ამერიკელი, ინგლისელი, გერმანელი, რუსი, ქართველი, ფრანგი, კანადელი, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ფსბ-ის შეფის ბორტნიკოვის მიხედვით, 100 ქვეყნის 20000 „ბოევიკია“ „სახალიფოში“. ყველა მათგანი ფიცშეკრულია „სახალიფოსთან“. ყველა მათგანის უპირველესი მოვალეობაა, თავის პირველ სამშობლოში, ფართო პროპაგანდის გაწევა „ისლამური სახალიფოს“ სასარგებლოდ. დაპირებებით, ფულით, სხვა სატყუარით ახალგაზრდების გადაბირება „სახალიფოს არმიისათვის“. პირველ სამშობლოში ნოყიერი ნიადაგის შექმნა სამომავლო ისლამური ომისთვის, ისლამური აფეთქებისთვის.

რაც უფრო ხშირად ვახსენებთ „ისლამურ სახალიფოს“, მით უფრო იზრდება დაინტერესება ამ „ქვეყნისადმი“, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი საქმისადმი. მაგრამ, როდესაც ყოველივეს ტელეეკრანზე უყურებ და არა ცხოვრებაში (ღმერთმა დაგვიფაროს), არხეინად ვართ და ვფიქრობთ, რომ სირია-ერაყში მიმდინარე უმძიმესი პროცესები, ჩვენი არ არის.

ტელესიუჟეტის ნახვა, ცხადია, გარკვეულ ემოციებს იწვევს, მაგრამ ის ისეთია, „სხვისი ჭირი, ღობის ჩხირი“ რომ ესადაგება და არა ისეთი, გულ-ღვიძლს რომ ჩაგწყვეტს. „იქ“ მიმდინარე პროცესები მაინც „იქ“ არის და არა ჩვენს სიახლოვეს. არადა, ჩვენგან, იქამდე, გაცილებით ნაკლები საფრენი დროა, ვიდრე ევროპამდე. „სახალიფოში“ მეომარი საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობაც საგრძნობია, თანაც ზოგიერთი მათგანი „სახალიფოს“ უფროსობაშია გარეული.

დიახ! „სახალიფო“ დღეს, პირდაპირი მნიშვნელობით, არ ემუქრება საქართველოს, გარდა ზოგიერთი ინდივიდუალი მეომრისა, მაგრამ დიდხანს გაგრძელდება ესოდენ უსაფრთხო ცხოვრება?

უცხოელ ექსპერტთა აზრით, არცთუ დიდხანს. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ „სახალიფოს“ „მიღწევების“ ტემპს, ერთ მშვენიერ დღეს კარზე ბრახუნიც შეგვაწუხებს. ამჯერად, ასეთი ბრახუნი არ არის, მაგრამ არც რა აკლია.

როდის იჩენს თავს „სახალიფოს“ აქტიურობა? – უპირველესად, პოლიტიკურ-ეკონომიკური ქაოსის დროს, მოსახლეობის სოციალური პირობების მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში. ასეთი ატმოსფერო არა მარტო ოპოზიციის, არამედ „სახალიფოს“ მიერ წარმოგზავნილი „აგიტატორების“ წისქვილზე უშვებს წყალს.

თუ მხედველობაში მივიღებთ „სახალიფოს“ იატაკქვეშა კავშირებს აშშ-ის და დასავლეთის სპეცსამსახურებთან, იმასაც, რომ თვით „სახალიფო“ შექმნილია დასავლური, კერძოდ ამერიკული გარკვეული ჯგუფების „მუყაითი“ შრომით და დახმარებით („სახალიფოში“ შემავალი რადიკალური მუსლიმანური ჯგუფების მიმართ, უპირველეს ყოვლისა, „ალ-ქაიდას“ ფილიალის „ჯებხატ ან ნუსრასადმი“), აქტიური მოქმედება სწორედ მაშინ გაიშლება, როდესაც ევროატლანტიკურ სივრცეს დასჭირდება. აი, მაგალითად, დასჭირდათ უკრაინაში და აამოქმედეს. და აამოქმედეს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთისთვის.

„სახალიფო“ ინტერნაციონალური „სახელმწიფოა“. ვინ არ ცხოვრობს და იბრძვის იქ – ამერიკელი, ინგლისელი, გერმანელი, რუსი, ქართველი, ფრანგი, კანადელი, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ფსბ-ის შეფის ბორტნიკოვის მიხედვით, 100 ქვეყნის 20000 „ბოევიკია“ „სახალიფოში“. ყველა მათგანი ფიცშეკრულია „სახალიფოსთან“. ყველა მათგანის უპირველესი მოვალეობაა, თავის პირველ სამშობლოში, ფართო პროპაგანდის გაწევა „ისლამური სახალიფოს“ სასარგებლოდ.

უკრაინელ ნაციონალისტთა და ისლამისტთა კავშირს 2007 წელს ჩაეყარა საფუძველი, დასავლეთ უკრაინის ქალაქ ტერნოპოლში გამართული ყრილობის დროს. იქ შეიკვრნენ უკრაინელი, პოლონელი, ბალტიისპირელი ნაციონალისტები, ერთი მხრივ და რუსეთელი ისლამისტები, ე.წ. კავკასიის დეკოლონიზაციის მოძრაობისა და სრულიად უკრაინის ორგანიზაცია „ტრეზუბის“ წევრები. ეს უკანასკნელი ბანდერას სახელობისაა და მას დიმიტრი იაროში ხელმძღვანელობს.

ჩამოყალიბდა ე.წ. საერთაშორისო ანტიიმპერიული ფრონტი. 2013 წელს დოკუ უმაროვმა მოუწოდა „ფრონტის“ წევრებს, ეომათ სირიაში, ბაშარ ასადის წინააღმდეგ. 2014 წელს „მარჯვენა სექტორის“ ლიდერმა იაროშმა მიმართა „კავკასიის საამიროს“ მოწოდებით – გაერთიანდნენ რუსეთის წინააღმდეგ ომში. მოწოდებას უმალ მოჰყვა სირიიდან 300 ჯიჰადისტის უკრაინაში ჩასვლა და დონბასის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ჩართვა.

ფრანგი ჟურნალისტი ტერი მეისანი წერდა, რომ უკრაინის სპაეცსამსახურებს გადაწყვეტილი აქვთ ნაციონალებს შეუერიონ ჯიჰადისტები, ისინი ვინც საბრძოლო წვრთნა გაიარა. „თუ იდეოლოგიურ ნაჭუჭს ჩამოვაცლით, დღევანდელი ნაცისტები და ჯიჰადისტები ერთმანეთის მსგავსია ძალადობაში და მსოფლიო ბატონობის სურვილში“, – წერს ის.

პოლონურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია თურქი და ერაყელი ისლამისტების რუმინეთსა და უკრაინაში გადასხმის შესახებ. ისინი ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციის „ხიზბ ულ ტახრირის“ „ჯამათ თაბლიკის“ წევრები არიან. იყო აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ „ალ-ქაიდას“ ფილიალი უკრაინაში – „უკრაინის ისლამის ორგანიზაცია“ წვრთნის „ბოევიკებს“ თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან და გერმანიიდან.

გასული წლის შემოდგომით ამერიკელი გორდონ დაფი წერდა: **„ამერიკელმა სტრატეგებმა ევროპის ოფიციალურ პირებს შესთავაზეს, გაეზიარებინათ „ალ-ქაიდას“ გამოყენების თემა უკრაინაში არსებული კრიზისის გასაღრმავებლად“.**

ავტორის მიხედვით, ნატო და საუდის არაბეთი უკვე მოქმედებენ უკრაინის „ალ-ქაიდას“ ბაზად გადასაქცევად, რომელიც მომავალში რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენება.

აბდულ ქარიმ კრიმსკიმ, სირიაში მეომარი „მუხაჯირინ ალ-ანსარის“ დაჯგუფების მეთაურმა, უკრაინაში მცხოვრებ ყველა მუსლიმანს მოუწოდა, იბრძოლოს ჯიჰადისთვის. უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს ჭკუაში დაუჯდა ეს მოწოდება და რადას წევრ („ბლოკი პოროშენკო“) მუსტაფა ჯამილოვთან შეთანხმებით, ჩამოაყალიბა „ყირიმ-თათრული“ ბატალიონი, რომელიც გადაისროლეს ბერდიანსკში, აზოვის ზღვის სანაპიროს გასამაგრებლად. ჯამილოვის „მუყაითი შრომის“ შედეგად, შეიქმნა ბატალიონი „ყირიმი“.

სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის ფრონტზე აქტიურობით გამოირჩეოდნენ ჯოხარ დუდაევის სახელობის მოხალისეებიც.

„ისლამური სახალიფოს“ გავლენა ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებზე არცთუ უმნიშვნელოა. საერთო ჯამში ამ „სახალიფოს“ შეიარაღებულ ძალებში რუსეთის ფედერაციის 1700 მოქალაქეა. მათი დიდი ნაწილი ყაბარდო-ბალყარეთზე, დაღესტანზე, ჩეჩნეთზე მოდის. ცნობილი მეთაურის აბუ უმარ შიშანის განცხადებით, ბაშარ ასადის წინააღმდეგ მიმდინარე ომს 500 კავკასიელი შეეწირა.

გასული წლის ოქტომბერში, ცნობილმა მეთაურმა თარხან ბათირაშვილმა განაცხადა, რომ მოაწყობს მსვლელობას სამხრეთ რუსეთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პანკისელი „ბოევიკები“.

იტალიური გაზეთი „ლა რეპუბლიკა“ აქვეყნებს ჟურნალისტ პაოლო ბერიცის სტატიას, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ „სახალიფოს“ მეომრების საბრძოლო შემართების ასამაღლებლად გამოიყენება ნარკოტიკები, „ვიაგრა“, ფული.

ფრანგი ექსპერტების მიხედვით, ომში ერთი დღით მონაწილეობისთვის ჯიჰადისტი 200 დოლარს იღებს, მაგრამ თვით ჯიჰადისტების განცხადებით – 80-დან 120 დოლარამდე. თანხა დამოკიდებულია ჯიჰადისტის პიროვნებაზე, მეომრულ გამოცდილებაზე, ომებში მონაწილეობის ხანგრძლივობაზე.

„სახალიფოს“ არმიის ფუნქციონირება დღეში 3 მილიონი დოლარი ჯდება, წლიურად – მილიარდი დოლარი. დაფინანსების წყაროებია – ნავთობი, კონტრაბანდა, მათ შორის ადამიანებით, ნარკოტიკებით ვაჭრობა, აგრეთვე ისტორიული მნიშვნელობის არტეფაქტებით ვაჭრობა.

გასული წლის ივნისში „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაიკავა ერაყის ქალაქი მოსული. დღეს ის კონტროლს უწევს ბრიტანეთის ზომის ტერიტორიას. 2010 წლის მაისიდან ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს აბუ ბაქრ ალ ბაღდადი – ამერიკელთა მიერ ერაყის ოკუპაციის დროს კემპ-ბუკკას პატიმარი. გასული წლის 5 ივლისს, მან, როგორც ხალიფამ, მოსულის „ან ნურის“ მეჩეთში წაიკითხა ლოცვები „რამადანის“ დღესასწაულზე, რითაც პარტიზანიდან მთელი მუსლიმანების მხედართმთავრად გადაიქცა.

ალ ბაღდადის მოწოდებამ „სახალიფოსკენ“ დაძრა მუსლიმთა ნაკადი. სულ ახლახანს, ნიგერიაში მოქმედმა ტერორისტულმა ორგანიზაცია „ბოკო ჰარამმა“ აღიარა „ისლამური სახალიფოს“ უზენაესობა და მორჩილება მის წინაშე.

„ალ-ქაიდას“ ლიდერი ბენ ლადენი ტერორიზმს თვლიდა „სახალიფოს“ პროლოგად, რომლის წარმოშობას თავის სიცოცხლეში ის არ ელოდა. მართალია, „ალ-ქაიდას“ ჰქონდა ვრცელი ტერიტორიული გავლენა, ავტონომიური დაჯგუფებების წყალობით, მაგრამ „სახალიფო“ სხვაა. ლეგიტიმურობისთვის „სახალიფოს“ ესაჭიროებოდა ტერიტორია, იერარქიული სტრუქტურა ტერიტორიის სამართავად, რაც მან მოახერხა კიდევაც. „სახალიფო“ დაყოფილია სამოქალაქო და სამხედრო მმართველობად, პროვინციებად.

ხშირად წერენ, რომ ჯიჰადისტები თანამედროვე ადამიანები, ათეისტები არიან, რომელთაც სულაც არა აქვთ ჩამორჩენილი პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ ყოველივეს ფარავენ შუასაუკუნეების რელიგიური ჩაცმულობით. რეალურად, ეს ასე არ არის. „სახალიფო“ გულწრფელად იღვწის ცივილიზაციის მეშვიდე საუკუნის სამართლებრივ ჩარჩოებში დაბრუნებისთვის, საბოლოო ჯამში აპოკალიფსის გამოწვევისთვის.

ამ თვალსაზრისის აქტიური მიმდევრები არიან „ისლამური სახელმწიფოს“ მეთაურები. ისინი ცინიკურად უყურებენ მოდერნიზმს. აცხადებენ, რომ განუხრელად იცავენ წინასწარმეტყველ მუჰამედის მიერ ჩამოყალიბებულ ცნებებს.

„ისლამური სახალიფო“ – ნამდვილი ისლამური სახელმწიფოა. დიახ, ის იზიდავს ფსიქოპატებს, ავანტიურისტებს, ძირითადად ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში მცხოვრებ უკმაყოფილო ადამიანებს, მაგრამ რელიგიური მოღვაწეები, რომლებიც იქ ქადაგებენ, ერთობ განსწავლულნი არიან თავიანთ საქმეში.

„ისლამური სახალიფოს“ დამოკიდებულება სამყაროსადმი და სამყაროს დამოკიდებულება „სახალიფოსადმი“ სხვაგვარ, უფრო ღრმა შესწავლას საჭიროებს, ვიდრე ზედაპირულ შეფასებას. სიღრმისეული შესწავლა – ანალიზის გარეშე ბრძოლა „სახალიფოს“ წინააღმდეგ, ისეთივე ზედაპირული შედეგის მომტანია, როგორც „კოალიციის“ სამხედრო თვითმფრინავების მიერ „სახალიფოს“ ტერიტორიის დაბომბვა.

დღეს ხდება შედეგთან და არა შედეგის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლა. იქნებ შეგნებულად არ სწავლობენ მიზეზებს? ეს ის კითხვაა, რომელიც არცთუ იშვიათად ჟღერს უცხოურ მედიაში, თუმცა, ჯერჯერობით საფუძვლიანი პასუხი არ ჩანს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲚᲘᲐ

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘᲡ“ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ ᲓᲔᲛᲣᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲚᲘᲫᲔ.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲓᲔᲛᲣᲠ, Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ მტკიცებით, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია. ხელისუფლება ეკონომიკური კრიზისის არსებობას უარყოფს და აცხადებს, რომ სავალუტო კრიზისი გვაქვს. თქვენ როგორ დაახასიათებდით ეკონომიკურ სფეროში არსებულ ვითარებას და თქვენი აზრით, ახლა ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება, თუ სავალუტო კრიზისში?

— თქმა იმისა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, ლოგიკაში არ ჯდება. 2014 წელი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდით დაფიქსირდა, თუ როგორი იყო ეს ზრდა, სხვა თემაა. **ორი კვარტლის მონაცემებით, ჯერჯერობით, ცუდი მდგომარეობა არ ფიქსირდება. ამიტომაცაა, რომ არც ეკონომიკის რეცესია არა გვაქვს. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ეკონომიკური კრიზისზე საუბარი მხოლოდ მოგონილია.** თუმცა, ეკონომიკაში ფუნდამენტალური პრობლემებია და ამის უარყოფა არ შეიძლება.

რეალურად არის სავალუტო კრიზისი. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც ჩამოკიდებულია იმპორტზე და არ აქვს ვალუტის შემოდინების მყარი წყაროები, ექსპორტი მწირია. მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციამ შარშან თითქმის მილიარდ 300 მილიონს მიაღწია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის დიდი-დიდი 7%-ს შეადგენს, რა თქმა უნდა, ეკონომიკის განვითარებისთვის აბსოლუტურად არასაკმარისია. შემოდინებები ტურიზმიდან არ არის და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან ტურიზმზე გათვლები და მოლოდინი, რომ სავალუტო შემოდინებების მთავარი წყარო ტურიზმი იქნებოდა, თავიდანვე არასწორი იყო.

ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც ასი ათასობით ცხოვრობენ რუსეთში, უკრაინასა და ევროზონის ქვეყნებში, სერიოზულ კრიზისს განიცდიან. ქვეყანას მოაკლდა ვალუტა. ამას დაემატა ის, რასაც მაკროეკონომიკა ჰქვია და, რაშიც მთავრობისა და ეროვნული ბანკის პოლიტიკა კოორდინირებული არ იყო. ანუ, კოორდინირებული და ერთმანეთთან შეთანხმებული არ იყო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა. ამას დაემატა გარე და შიგა ფაქტორების ნეგატიურ ასპექტში დამთხვევა, რამაც ააფეთქა სიტუაცია. მანამდე არ ფეთქდებოდა გასაგები მიზეზების გამო — კარგი საგარეო ფაქტორები ფარავდა საშინაო დეფექტებს.

— პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მტკიცებით, ქვეყანაში ვითარება არც ისე კატასტროფულია და „ტელევიზიების უმეტესობა ხელს უშლის განსხვავებული რეალობის წარმოჩენას“ ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი გვირჩევს — „ყველანი უნდა ვეცადოთ, დავაცხროთ ვნებები იქ, სადაც საუბარი ეკონომიკას ეხება“. მოკლედ, ყველაფერში დამნაშავე ჟურნალისტები და ეკონომიკური პრობლემებით შეწუხებული და უკმაყოფილო ხალხი ყოფილან...

— ერთადერთი, ვინც არ არის დამნაშავე შექმნილ სიტუაციაში, ჟურნალისტები არიან. შესაძლოა, ვინმე მოგვწონდეს, ვინმე არ მოგვწონდეს, ზოგი გამოცემა პეტრეს უჭერს მხარს, ზოგიც ივანეს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ეკონომიკური მდგომარეობის გაფუჭება. თუ რომელიმე მათგანი ცუდად იქცევა, ესეც სუსტი ხელისუფლების ბრალია, ვინაიდან ქვეყანაში კონსტუტუციის ფარგლებში თამაშის ერთიანი წესები არ არსებობს.

როგორებიც არ უნდა იყვნენ ჟურნალისტები, ეკონომიკურ სფეროში შექმნილი ვითარების ჩამოყალიბებაში ისინი არაფერ შუაში არ არიან. ეს წმინდა სუბიექტური შეხედულებაა. აქ უკვე ემოციებზე არ არის საუბარი, აქ საუბარია ტექნოლოგიაზე. დიახ, სამწუხაროდ, მედიის გარკვეული წარმომადგენლები, შესაძლოა, არიან გამოყენებული ფონის შესაქმნელად, მაგრამ ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა დემოკრატიული ქვეყნისათვის. მთავარია, ხელისუფლება სწორად აკეთებდეს საქმეს და შედეგი იყოს. თუ შედეგი არ არის, ჟურნალისტების შემდეგ ჩვენ უნდა დავიჭიროთ კატა ბნელ ოთახში, რომელშიც იგი არ არის.

— ოპოზიცია ხელისუფლებისგან ანტიკრიზისული გეგმის წარმოდგენას მოითხოვს. ხელისუფლებამ კრიზისის დაძლევის რამდენიმე გზა პრაქტიკულად კი დაასახელა, მაგრამ თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურია ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის პასუხი არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებზე?

— რომ მითხრათ, ჩამომიყალიბეთ მთავრობის ხედვა ამ კრიზისიდან გამოსვლაში როგორიაო, ვერაფერს ვერ გეტყვით. რატომ, იცით? არ ვარ ინფორმირებული, არადა დაინტერესებული პირი ვარ და ყველაფერს ვადევნებ თვალყურს. **ოპოზიცია რომ ითხოვს ხელისუფლებისაგან ანტიკრიზისული გეგმის წარმოდგენას,** ამაში განსაკუთრებული არაფერია. ყველა ნორმალურ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ამგვარი სურვილი. **მაგრამ ოპოზიცია ითხოვს ტენდენციურად,** ჩვენ კი გვინდა გვქონდეს მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პროფესიულად შედგენილი პროგრამა, რომელიც ასახავს რეალობას და მასში ეტაპობრივად იქნება გაწერილი კრიზისის დაძლევის გზები.

მოკლევადიან პროგრამაში, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია საფრთხეები, უნდა მოიხსნას აჟიოტაჟური ზეწოლა ლარზე და მოიხსნას საზოგადოებაში ცუდი მოლოდინები. ჯერჯერობით, ეროვნული ბანკი ამას არ აკეთებს.

— ნაცმოძრაობა ხელისუფლებას ეკონომიკური პრობლემების დაძლევის თავის რეცეპტს სთავაზობს. თქვენი აზრით, რამდენად სასარგებლო იქნებოდა მათ მიერ მთავრობისათვის შეთავაზებული წინადადებები ეკონომიკისთვის?

— თუ კომპლექსში განვიხილავთ ოპოზიციის მიერ მთავრობისათვის შეთავაზებულ პროგრამას, მე მთავრობაში გადაწყვეტილების მიმღები პირი რომ ვიყო, მათ პროგრამას არავითარ შემთხვევაში არ მივიღებდი. რა თქმა უნდა, მათ პროგრამაში ცალკეული ელემენტები არის საინტერესო, მაგალითად ის, რომელიც გადასახადებს ეხება, მაგრამ არა იმ ფორმით, რა ფორმითაც ისინი გვთავაზობენ.

ნაცმოძრაობა ისე იქცევა, როგორც ჩვეულებრივი ოპოზიცია, როცა მთავრობიდან ხედავს არაეფექტურ და არააქტიურ მოქმედებას და მას თავს ახვევს საკუთარ შეხედულებებს. **კრიზისიდან გამოსვლის ნაციონალების გეგმა მე არ მომწონს.** მასზე საკმაოდ დეტალურად შემიძლია ლაპარაკი, მაგრამ **ოპოზიცია თავისებურად აქტიურობს, ხოლო მთავრობა ვალდებულია, თავისი საქმე აკეთოს. რაკი მთვარობა თავისას აგვიანებს, ოპოზიცია მას „აწვება“ და „აწვება“** შესანიშნავად, ვინაიდან მათ ყოველდღიურად უხმაურებს იმას, რაც ხელისუფლების კარგ საქმიანობაზე არ მიუთითებს.

— 5 მარტს ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს მოკლევადიანი რეფინანსირების ფარგლებში 900 მილიონი ლარი მისცა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამგვარი ნაბიჯით ხელისუფლება თავად უწყობს ხელს კომერციული ბანკების მიერ მოსახლეობის ძარცვას. რატომ უწყობს ხელს ხელისუფლება კომერციულ ბანკებს? რა უნდა ვიფიქროთ — საბანკო სისტემა კრიზისშია, პრობლემები აქვს, თუ რა ხდება?

— თუ კონკრეტულად 5 მარტის ამბავს განვიხილავთ, ეს არის საზოგადოების არაინფორმირებულობის შედეგი და იგივე ეროვნული ბანკის ჩაკეტილობის შედეგი. სინამდვილეში, ეროვნული ბანკიდან კომერციულ ბანკებში წავიდა 700 მილიონი მოკლევადიანი სესხების სახით დროებითი ლიკვიდურობის შესავსებად, რომელიც ბანკებს ხშირად წარმოექმნება. ამიტომაცაა, რომ ისინი ეროვნული ბანკიდან მუდმივად სესხულობენ ფულს.

რაც შეეხება დანარჩენ 200 მილიონს. არა მარტო ჩემთვის, არამედ სხვისთვსაც გაუგებარია, რატომ უნდა მიეცა ეროვნულ ბანკს კერძო ბანკებისთვის ეს თანხები. ეს 200 მილიონი მოქმედებაში არ წასულა და ახლაც საკორესპონდენტო ანგარიშებზეა უმოძრაოდ. წინა შემთხვევებში, როცა ფულის გარკვეული ნაწილი მიდიოდა სავალუტო ბალანსზე და ამის დაკვირვება შეიძლებოდა ვაჭრობის მსვლელობისას, **აქ წარმოიქმნა კითხვები იმის გამო, რომ უნდობლობა ჩნდება ეროვნული ბანკისა და მისი ხელმძღვანელის მიმართ.**

რა თქმა უნდა, ყველა სესხი არ შეიძლება მიდიოდეს და ვერც წავა სპეკულაციური მიზნებისათვის. ამასაც ეროვნული ბანკი უნდა აკონტროლებდეს, მაგრამ მას წინა თვეებში სერიოზული შეცდომები დავუშვა და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს 900 მილიონი სპეკულაციური მიზნით იქნა გაცემული. სინამდვილეში, ასე არ მომხდარა. ამიტომაა საჭირო საზოგადოებისთვის დროულად და სრულად ინფორმაციის მიწოდება, რომელიც არ არის კონფიდენციალური

— ხელისუფლებამ ბიზნესის მხარდასაჭერად 20 ათასზე მეტ გადამხდელს მთლიანობაში 1 მილიარდი ლარის დავალიანება ჩამოაწერა. თქვენ როგორ შეაფასებდით მთავრობის ამ ნაბიჯს?

— რაც კარგია, კარგია. **ჯარიმებით და ათასნაირი, კანონიერი თუ უკანონო გზით დაწესებული გადასახდელების ჩამოწერა კარგი სტიმული იქნება ბიზნესისთვის. ჯობს, მათ იმუშაონ და მეტი თანხა შეიტანონ ბიუჯეტში, ვიდრე გაჩერებული იყვნენ და მუდმივად ჰქონდეთ პრობლემები.** მთავრობამ რაც კარგი გააკეთა, უნდა ვთქვათ, რომ კარგია.

— ხელისუფლების მტკიცებით, 2014 წელს საქართველოში 1 272 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც წინა წლის მონაცემებს 39%-ით აღემატება. ხელისუფლებისვე ცნობით, ინვესტიციები ჩაიდო ტრანსპორტში, კავშირგაბმულობაში, მშენებლობასა და გადამმუშავებელ მრეწველობაში. რატომ ხდება ასე, რაც არ უნდა დიდი იყოს ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების ოდენობა, რომ მოსახლეობა მის შედეგებს ვერ ხედავს და რეალურად, მის ყოფაზე არც აისახება?

— პასუხი ძალიან მარტივია — ეს ინვესტიციები თავისი მოცულობით არ წარმოადგენს ისეთ ინვესტიციებს, რომელსაც შეუძლია არსებული მდგომარეობის შეცვლა. ისეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, საგარეო პირდაპირი ინვესტიციები სულ ცოტა მთლიანი შიდა პროდუქტის 20-25%-ის ფარგლებში უნდა ჰქონდეს. ეს კი 7%-იც კი არ არის.

საკმაოდ დიდი ფული უძრავ ქონებაშია წასული, რომელიც არ შეიძლება ინვესტიციად იქნას განხილული. კარგია, რომ ეს თანხები შემოდის, მაგრამ ამით ტრაბახი, დამშვიდება და თვითმოწონება აბსოლუტურად უადგილოა, რადგან **ინვესტიციები ერთადერთი პარამეტრია, რომელიც სიტუაციას არანაირად არ ცვლის. ჩვენ გვჭირდება 4,5-5 მილიარდის ინვესტიცია. იმისათვის, რომ ეს მოხდეს საკუთარი მატერიალური და ფინანსური რესურსებით, ამის შესაძლებლობა ქვეყანას არა აქვს.** ენერგეტიკასა და ტრანსპორტში ცალკეული ინვესტიციები იდება, მაგრამ ეს არ არის ტრენდი და ჩამოყალიბებული ტენდენცია.

ᲙᲝᲒᲐ ᲑᲔᲜᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘ

> **ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ რომ ითხოვს ხელისუფლებისაგან ანტიკრიზისული გეგმის წარმოდგენას, ამაში განსაკუთრებული არაფერია. ყველა ნორმალურ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ამგვარი სურვილი. მაგრამ ოპოზიცია ითხოვს ტენდენციურად, ჩვენ კი გვინდა გვქონდეს მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პროფესიულად შედგენილი პროგრამა, რომელიც ასახავს რეალობას და მასში ეტაპობრივად იქნება გაწერილი კრიზისის დაძლევის გზები.**

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

„ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ“ ᲛᲐᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

11-25 ᲛᲐᲘᲡᲡ საქართველოში ქართულ-ამერიკული ერთობლივი სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ (Noble Partner) გაიმართება.

აღნიშნული სწავლება საქართველოში პირველად ჩატარდება და იგი ქართული ასეულის ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებთან დაახლოებას, ასევე, ნატოს მომავალ ოპერაციებსა და წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად სრულყოფილ მზადყოფნას ისახავს მიზნად.

ქართულ-ამერიკული ერთობლივი სწავლება ვაზიანის სამხედრო აეროდრომის ტერიტორიასა და სამხედრო პოლიგონზე ჩატარდება. წვრთნაში საქართველოს შეიარაღებული ძალების I მსუბუქი ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის „ალფა“ ასეული, IV მექანიზირებული ბრიგადის 42-ე ბატალიონის I მექანიზირებული ასეული და სამხედრო პოლიციის ოცეული მიიღებს მონაწილეობას. ამერიკის მხრიდან სწავლებაში აშშ-ის არმიის ჯავშანტრანსპორტიორთა „ბრედლებისა“ და მედესანტეების ასეულები ჩაერთვებიან.

სწავლების ჩატარება 2014 წლის ოქტომბერში დაიგეგმა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ

ᲐᲛᲘᲡ შესახებ თბილისის მერიაში გუშინ მისულ ჟურნალისტებს პრესსამსახურმა განუცხადა.

აქამდე თბილისის მერის განცხადებების მოსასმენად ჟურნალისტები მთავრობის სხდომის დასაწყისს ესწრებოდნენ.

დედაქალაქის მთავრობის სხდომა გუშინ დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. მას ჟურნალისტები არ ესწრებოდნენ. დედაქალაქის მერის ტრადიციული განცხადებების ჩასაწერად და კადრების გადასაღებად მხოლოდ ტელეოპერატორები შეიყვანეს და აუდიო ჩანაწერებისთვის ჩამწერები შეიტანეს.

მთავრობის გუშინდელ სხდომას თბილისის საკრებულოს ნაციონალური მოძრაობის წევრები სევდია უგრეხელიძე და ირაკლი ნადირაძე დაესწრნენ.

ჟურნალისტებს მერიაში უთხრეს, რომ ამ ცვლილებების მიზეზი არ არის ოპოზიციონერი დეპუტატების მთავრობის სხდომაზე დასწრება, არამედ გასულ ოთხშაბათს მომხდარი ინციდენტი. კერძოდ, წინა მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტები დავით ნარმანიას ჩაწერას ითხოვდნენ, ისინი სხდომათა დარბაზში არ შეუშვეს, რასაც ჟურნალისტების პროტესტი მოჰყვა.

ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲐ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲐ

ᲡᲐᲑᲐᲟᲝ დეპარტამენტის საბაჟო გაფორმების მთავარი სამმართველოს გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტის“ თანამშრომლებმა კომპანიის მიერ 16 მარტს იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაცხადებული საქონლის 64 ცალი მაჯის საათის გაფორმების პროცედურები შეაჩერეს. აღნიშნული საქონელი ნიშანდებულია OMEGA-ის სასაქონლო ნიშნით და შემოსავლების სამსახურის ვარაუდით, წარმოებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში შეტანილი სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებების დარღვევით.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ ალიან-ჩალიანი

„ნაციონალი“ დირექტორი „მეოცნებე“ მასწავლებელმა სცემა

ქობულეთის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლაში ოთხი მოსწავლე შიმშილობს. სამი მათგანი მეათეკლასელია, ერთი — მეცხრე კლაში სწავლობს.

სკოლის მოსწავლეები დირექტორ შორენა მენაღარიშვილის გადადგომას ითხოვენ. კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც სამმა მოსწავლემ ექსტერნის გამოცდები ვერ ჩააბარა. მოსწავლეების განმარტებით, ბოლო გამოცდაზე დირექტორმა მათ ტესტებზე მუშაობისას შეგნებულად არასწორი პასუხები შეამოხაზინა. შედეგად სამი მეათეკლასელი გამოცდაზე ჩაიჭრა.

დირექტორსა და ერთ-ერთი მოსწავლის მშობელს ხათუნი მენაბდეს შორის კი სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურში გადაიზარდა და დირექტორის მტკიცებით, მშობელმა, რომელიც ამავე სკოლაში ისტორიის მასწავლებელია, მას სცემა.

ისტორიის პედაგოგი დისციპლინური კომისიის ოქმის საფუძველზე სკოლიდან უკვე დაითხოვეს. იგი ქვრივია და ოთხი შვილის დედაა, მოშიმშილეთაგან კი ორი მისი შვილია.

ხათუნი მენაბდე ირწმუნება, რომ დირექტორთან დაწყებულ კონფლიქტს საფუძვლად პოლიტიკური მოტივი უდევს. მისი მტკიცებით, დირექტორი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერია, თვითონ კი „ქართული ოცნების“ და დირექტორმა მისი თავიდან მოცილებისთვის ბავშვების გამოყენება გადაწყვიტა. ადგილზე ვითარების შესწავლას აპირებს აჭარის განათლების სამინისტრო. მოსწავლეებმა შიმშილობა გუშინვე შეწყვიტეს.

თანხის ნაცვლად - საკვები პროდუქტები

ადიგენის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ჩილინგარაშვილის განცხადებით, რაიონში სეტყვით დაზარალებულ მოსახლეობას კომპენსაციის სახით თანხის ნაცვლად მაკარონი, კარტოფილი და ზეთი დაურიგეს.

ამის შესახებ ჩილინგარაშვილმა პარლამენტის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა და განმარტა, რომ მოსახლეობას პროდუქტი მარტში გადაეცა, როცა პრემიერის ბრძანებით, ეს ზამთარში უნდა განხორციელებულიყო.

„2014 წლის 14 სექტემბერს ადიგენის რაიონში ძალიან დიდი სეტყვა მოვიდა, რის გამოც მთლიანად განადგურდა 8 სოფლის მოსავალი. ბევრი „ჯახის“ და დარდის შემდეგ, როგორც იქნა, გამოიყო 321 ათასი ლარის ოდენობის თანხა (მილიონ 50 ათასი იყო ზარალი, მაგრამ არა უშავს) და ვიღაცამ ყველასთვის დაუკითხავად გადაწყვიტა, რომ ფული კი არ დაერიგებინა მოსახლეობისთვის, არამედ მიეტანა მაკარონი, კარტოფილი და ზეთი, თან პრემიერ-მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით, აღნიშნული ხალხის მომარაგება ზამთრის პერიოდში უნდა მომხდარიყო, თუმცა, ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხებით მათ გაზაფხულზე, მარტში მიუტანეს ზამთრისთვის გამოყოფილი ეს პროდუქტები. ქალბატონებო და ბატონებო, მე ვიცი ბიუჯეტის სეკვესტრი, იმიტომ რომ შევარდნაძის პერიოდში მიცხოვრია, უკვე თქვენ პერიოდშიც ვხვდები, რომ იქნება იგივე სეკვესტრი, მაგრამ გაზაფხულის სეკვესტრი? ერთი თვე ჩამოაჭრა და ზამთარს მივაწეროთ?“ — განაცხადა ზურაბ ჩილინგარაშვილმა.

დეპუტატის თქმით, რაიონის მოსახლეობისთვის კომპენსაციის სახით პროდუქტების დარიგების საქმეში „კორუფციის სუნი სცემთ“, რის გამოც ჩილინგარაშვილმა სამართალდამცავ ორგანოებსაც მიმართა.

ინტერპრესი

საქართველოზე მსოფლიო ეკონომიკის მხოლოდ 0.03 პროცენტი და მსოფლიო მოსახლეობის — 0.06 პროცენტი მოდის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში დაახლოებით ორჯერ ნაკლები მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) იწარმოება, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში. საქართველოს ეკონომიკური ზრდის ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ტემპით კი (2012-2014 წწ. — 4.6%) ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის ულარიბესი სახელმწიფოს - ბულგარეთის დონეს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ით ათი წლის შემდეგაც ვერ მიაღწევს. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის დაჩქარების პრობლემა ეგზისტენციური დატვირთვისაა და მასზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული არა მარტო ქართული სახელმწიფოს როლი და წონა მსოფლიოში, არამედ მისი მდგრადობა შიდა თუ გარე გამოწვევებისადმი, მისი მოქალაქეების კეთილდღეობის დონე და დინამიკა.

ქართული ლარის გაუფასურების პროტაგონისტის ძიებაში...

რა ფაქტორებმა განაპირობეს ეროვნული ვალუტის ვარდნა და ვინ არის დამნაშავე?

ასეთი ბანალური ჭეშმარიტების მიუხედავად, პარადოქსულიც კია, მაგრამ ფაქტია, რომ **ქართველი საზოგადოების, მედიისა და ხელისუფლების რეაქცია ლარის დევალვაციაზე გაცილებით კატეგორიული და რეზონანსულია, ვიდრე ეკონომიკური ზრდის აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებელ, დაბალ ტემპზე.**

არ არის ეს ჩვენი „რიგითი“ თუ „გამოჩენილი“ თანამოქალაქეების მხოლოდ ემოციური ან თუნდაც ირაციონალური განწყობის გამოვლენის შედეგი. — ამას სულ სხვა სარჩული უდევს საფუძვლად — **კორელაციის დაბალი ხარისხი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და ცალკეული პირების, შინამეურნეობების კეთილდღეობის ზრდას შორის. ამჟამად საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტს აქვს სტაბილური სამუშაო ადგილი** და, შესაბამისად, გარანტირებული შემოსავალი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ასეთი სამუშაო ადგილების დიდი ნაწილი *სახელმწიფო სექტორშია* შექმნილი, სადაც ჯერ კიდევ მაღალია პირადი ნაცნობობისა და ნეპოტიზმის ნიშნით თანამდებობების დაკავების სიხშირე. ამასთან, მათთვის, ვინც ამ *„ოქროს თხუთმეტ პროცენტში“* ვერ ხვდება, ნაკლები პრაგმატული და ემოციური დატვირთვა აქვს ზრდის მაკროეკონომიკური პარამეტრების ცვლილებას, რამეთუ ისინი, როგორც უკვე ითქვა, ვერ ხედავენ პირდაპირ კავშირს ქვეყნის მშპ-ის ზრდასა და პირადად მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას შორის.

აი, ლარის გაუფასურება კი სხვა საქმეა! — **ლარის დევალვაცია „დედაწულიანად“, დიდსა და პატარას, ყველას ეხება!** რიგითმა მოქალაქეებმა, უმუშევრებიდან დაწყებული და პენსიონერებით დამთავრებული, კარგად იციან, რომ ხატოვნად რომ ვთქვათ, *დილით თუ ლარი გაუფასურდება, საღამოთი უკვე მედიკამენტები იქნება გაძვირებული, ხვალ შუადღემდე — ბენზინი, ხოლო ორიოდ დღეში — პური ჩვენი არსობისა...* აი, რატომაა ასეთი რეაქცია ლარის დევალვაციაზე. — ჩვენთან პრობლემის სიმწვავის მასშტაბებს განსაზღვრავს ის გარემოება, რომ საქართველოს ეკონომიკა მეტისმეტად იმპორტდამოკიდებულია, ხოლო ფულის მიმოქცევა — დოლარიზებული! — იმპორტის თანაფარდობა მშპ-სთან 52 პროცენტს აღემატება, მაშინ როდესაც ევროკავშირში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 12 პროცენტია. კიდევ უფრო მაღალია დოლარიზაციის დონე — 60 პროცენტზე მეტი*.

საქართველოსთან შედარებით **ეროვნული ვალუტის გაუფასურებას აშშ დოლართან ნაკლებ მტკივნეულად განიცდიან ის ქვეყნები, სადაც ეროვნული ეკონომიკის იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი გაცილებით სუსტია.** მაგალითად, იაპონიის დამოკიდებულება იმპორტზე მხოლოდ 16 პროცენტია, ნორვეგიისა — 17 პროცენტი, ისრაელისა — 25 პროცენტი. აღნიშნულის გამო ეს ქვეყნები საკუთარი ვალუტის დევალვაციას გაცილებით მშვიდად, ნაკლები ვნებათღელვით ხვდებიან, რადგანაც იციან, რომ ეს სამომხმარებლო ფასების დონეზე შედარებით სუსტად იმოქმედებს. ამიტომაც, მაგალითად, ნორვეგიაში კრონას აშშ დოლართან 30-პროცენტიანი გაუფასურება თითქმის 2-ჯერ ნაკლებ გავლენას ახდენს ამ ქვეყნის შიდა სამომხმარებლო ბაზარზე, ვიდრე ქართული ლარის „მხოლოდ“ 15-პროცენტიანი დევალვაცია — ჩვენს შიდა ბაზარზე...

ეკონომიკის ზრდის კვალობაზე იზრდება ლარის გაუფასურებით მიღებული ეკონომიკური ზარალის მასშტაბებიც. **თუ 2003 წელს ლარის აშშ დოლართან ერთი პუნქტით დაცემა ყოველი შინამეურნეობის რეალური შემოსავლების მოცულობას საშუალოდ თვეში მხოლოდ 0.85 ლარით ამცირებდა, ამჟამად უკვე — ხუთ ლარზე მეტით.** არადა, ლარის საშუალო კურსი ბოლო თვეებში *თავისუფალი ვარდნის აჩქარებით* ეცემა. — თუ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველი 12 თვის მანძილზე იგი თვეში საშუალოდ მხოლოდ 0.04 პუნქტით უფასურდებოდა, მომდევნო ერთი წლის მანძილზე, შესაბამისად, 0.86 პუნქტით, 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით — საშუალოდ 5 პუნქტით, ხოლო მხოლოდ თებერვალში (23 თებერვლის მდგომარეობით) წინა თვესთან შედარებით — უკვე 26 პუნქტით გაუფასურდა (1$=2.20 ლარი). აღნიშნულის გამო მოსახლეობის მიერ *უცხოურ ვალუტაში* აღებული სამომხმარებლო და იპოთეკით დატვირთული 2.5 მლრდ. ლარზე მეტის კრედიტების მხოლოდ მომსახურებაზე **2015 წლის თებერვალში, წელზე გადაანგარიშებით, ერთი წლის წინანდელთან შედარებით, თითქმის 70 მილიონი ლარით მეტი იქნება გადასახდელი.**

> **ამჟამად საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტს აქვს სტაბილური სამუშაო ადგილი და, შესაბამისად, გარანტირებული შემოსავალი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ასეთი სამუშაო ადგილების დიდი ნაწილი *სახელმწიფო სექტორშია* შექმნილი, სადაც ჯერ კიდევ მაღალია პირადი ნაცნობობისა და ნეპოტიზმის ნიშნით თანამდებობების დაკავების სიხშირე.**

> *აქ კითხვა სხვა ასპექტითაც შეიძლება დაისვას: კი მაგრამ, ლარი ხომ ამჟამინდელ მდგომარეობაზე უფრო სუსტიც ყოფილა, რატომაა ასეთი აჟიოტაჟი მის თანაფარდობაზე აშშ დოლართან? ხომ ჰქონდა ლარს ამჟამინდელზე გაცილებით დაბალი კურსი?* — **მაგალითად, 1999 წლის მარტში 1 დოლარი 2.45 ლარი ღირდა. თვით ამჟამინდელი კურსი კი დაახლოებით შეესაბამება 2003 წლის საშუალო კურსს, თუმცა, მაშინ ასეთ აჟიოტაჟს ადგილი ნამდვილად არ ჰქონია. ან, რატომ მოითხოვს, ხატოვნად რომ ვთქვათ, *„რიგითი ლარიანის გადასარჩენად“* ოპოზიცია ეკონომიკური ბლოკის მინისტრების გადაყენებას, ხოლო ცალკეული დამოუკიდებელი ექსპერტები კი — ანტიკრიზისული საგანგებო კომიტეტის შექმნას?!**

ამის მიზეზი რამდენიმეა.

ჯერ ერთი, საქართველოს ეკონომიკა, ზრდასთან ერთად, როგორც უკვე ითქვა, სულ უფრო მეტად ხდებოდა დამოკიდებული, მყარად მიჯაჭვული მსოფლიო ეკონომიკაზე. ამჟამად **იმპორტის თანაფარდობა მშპ-სთან თითქმის ორჯერ აღემატება 2003 წლის დონეს** (2003 წ. — 28%, 20014 წ. — 52%). შესაბამისად, **თუ 2003 წელს ლარის ერთი პროცენტული პუნქტით გაუფასურება იმპორტის გაძვირებას მხოლოდ 10 მილიონი ლარით იწვევდა, ამჟამად უკვე — დაახლოებით 90 მილიონი ლარით.**

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მაინც, **რა ფაქტორებმა განაპირობეს ლარის ვარდნა და ვინ არის დამნაშავე?** ეს ერთი ფაქტორის, პიროვნების ან ინსტიტუტის „დამსახურება“ ნამდვილად არ არის. ამას — *ლარის დევალვაციას* — დავით გურამიშვილს რომ დავესეხოთ, **„ყველამ წაჰკრა თითო კუშტი“.**

ქართულ ფოლკლორსა და ზეპირსიტყვიერებაში სამყარო სამ ვეშაპზე ან ხარის რქაზე დგას. „ანალოგიურად“, ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ლარის სტაბილურობა სამ მაკროეკონომიკურ „ვეშაპისნაირი“ ინდიკატორის დინამიკაზე (*1. ქვეყნის ექსპორტი, სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსები; 2. უცხოური ინვესტიციები; 3. უცხოეთიდან ქვეყანაში განხორციელებული ფულადი ტრანზაქციები*) და შემდეგ გარემოებებზე — *ქვეყნის ზოგადი პოლიტიკური მდგომარეობა, გამოწვევები და რისკები; მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა; ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა „იაფი“/“ძვირი“ ფულის თაობაზე; ფინანსურ ბაზარზე სპეკულაციური თამაშობების შესაძლებლობები და მასშტაბები; საზოგადოებრივი განწყობილება და მოლოდინი*) დგას.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

საქართველოს „ტრადიციულად“ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს, ექსპორტით იმპორტის გადაფარვა დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ 20-25 პროცენტის დონეზე იყო; უკანასკნელ წლებში კი 33-36 პროცენტის ფარგლებშია.

ამავე დროს, ბოლო პერიოდში საქართველოს ექსპორტი საგრძნობლად შემცირდა, ხოლო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი მარტო ერთი, 2014 წლის მანძილზე 600 მილიონ დოლარზე მეტით

* ეს დაახლოებით 1.5-ჯერ უფრო მაღალია ლათინური ამერიკის ქვეყნებთან და 2-3-ჯერ უფრო მაღალი — ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით.

გაიზარდა და 5.7 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა – ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ამ ათიოდე წლის წინანდელი ქვეყნის მშპ.

ექსპორტის საგრძნობლად შემცირებაზე გავლენა იქონია რამდენიმე ფაქტორმა. – ჯერ ერთი, უკრაინის ამბებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს ამ ქვეყნის მოთხოვნა ქართულ პროდუქციაზე. უკრაინაზე მოდიოდა საქართველოს ექსპორტის თითქმის 7 პროცენტი; განსაკუთრებით დიდი იყო უკრაინის წილი ჩვენი ქვეყნის აგროსამრეწველო პროდუქციის ექსპორტში. მეორე მხრივ, ამ ორიოდე წლის წინათ რუსეთის ემბარგოს მოხსნამ, მართალია, გზა გაუხსნა ქართულ პროდუქციას რუსულ ბაზარზე, თუმცა, ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ქართული ალკოჰოლური სასმელების ექსპორტის პერსპექტივას ამ ქვეყანაში (ისევე, როგორც უკრაინაში). 2014 წლის დეკემბერში ექსპორტი რუსეთში თითქმის იმავე წლის იანვრის დონეზე დარჩა (შესაბამისად, 21.1 მლნ. აშშ დოლარი და 21.3 მლნ. აშშ დოლარი), ხოლო უკრაინაში - 2.4-ჯერ შემცირდა (23.3 მლნ. აშშ დოლარიდან 9.7 მლნ. აშშ დოლარამდე). კიდევ უფრო მძიმე სურათი იხატება 2015 წლის იანვრის მდგომარეობით. – საქართველოს **ექსპორტი წინა წლის იანვართან შედარებით შემცირდა: რუსეთში – 2.6-ჯერ, უკრაინაში კი – 4.4-ჯერ.** შემცირება იმპორტსაც შეეხო, თუმცა, იმპორტის შემცირება უფრო ნაკლებადმასშტაბიანია. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ექსპორტის დიდი ნაწილი შედარებით მაღალელასტიკურ საქონელზე, ხოლო უკრაინიდან საქართველოში იმპორტისა, პირიქით, დაბალელასტიკურ საქონელზე მოდის (შეადარეთ, მაგალითად, სასმელები და საკვები). შესაბამისად, საქართველოდან იმპორტის შემცირება უკრაინისათვის ნაკლებად პრობლემატური და უფრო „ასატანია“, ვიდრე პირიქით, საქართველოსათვის – უკრაინიდან განხორციელებული იმპორტის შემცირება.

ექსპორტის შემცირებას ჰქონდა არა მარტო „ჩრდილოეთი“ და „დასავლეთი“ (რუსეთი, უკრაინა), არამედ „აღმოსავლეთი“ და სამხრეთ-აღმოსავლეთი“ ვექტორებიც. საქართველოდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მკვეთრად შემცირდა ექსპორტის ისეთი მნიშვნელოვანი, ბოლო წლებში კი ყველაზე წონადი კატეგორია, როგორიცაა *ავტომობილები.* – ბოლო წლებში **საქართველოს ექსპორტის თითქმის მეოთხედი რეექსპორტზე, ძირითადად, ავტომობილების რეექსპორტზე, მოდიოდა** – მაგრამ ბოლო ხანს ჩვენს მეზობლებში შემზღუდველი პროტექციონისტული ღონისძიებებისა (აზერბაიჯანში) და სხვა ეკონომიკურ ალიანსებში გაწევრების გამო (სომხეთი) ჩვენი ექსპორტი (რეექსპორტი) თანდათან მცირდება ამ ქვეყნებში. კერძოდ, **ავტომობილებისა და მისი სათადარიგო ნაწილების ექსპორტი საქართველოდან 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, თითქმის 210 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა** (762 მლნ. აშ დოლარიდან 553 მლნ. აშშ დოლარამდე)*. **ეს შემცირება თავისი აბსოლუტური მასშტაბებით თითქმის ოთხჯერ აღემატება საქართველოდან ალკოჰოლური სასმელების, პირველ რიგში *ღვინის ექსპორტის წლიური მატების* მაჩვენებელს** (ერთ წელიწადში ღვინის ექსპორტი გაიზარდა 133 მლნ. აშშ დოლარიდან 180 მლნ. შშ დოლარამდე, მთლიანად ალკოჰოლური სასმელებისა კი – 232 მლნ. აშშ დოლარიდან 280 მლნ. აშშ დოლარამდე)**. აზერბაიჯანის ეროვნული ბანკის მიერ აზერბაიჯანული მანათის 1/3-ით მყისიერი დევალვაცია აშშ დოლართან (2015 წლის 21 თებერვლიდან) ასევე ნეგატიურად იმოქმედებს საქართველოს ექსპორტის პერსპექტივებზე აზერბაიჯანში.

მეორე პოზიცია, რომელზეცაა დამოკიდებული ვალუტის კურსი, ესაა **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა**. ბოლო წლებში მისი სიდიდე დაახლოებით 1.0-1.1 მლრდ. აშშ დოლარის ფარგლებშია, რაც მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მყარად უნარჩუნებს საქართველოს აღნიშნული მაჩვენებლით აუტსაიდერის პოზიციას სამხრეთ კავკასიაში. ამ ინდიკატორით საქართველო 2014 წელს ჩამორჩებოდა: სომხეთს - 20 პროცენტით, აზერბაიჯანს კი – 3-ჯერ. ბოლო წლებში აბსოლუტური მოცულობის სტაბილურობის (ფაქტობრივი უცვლელობის) პირობებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა და როლი საქართველოს ეკონომიკაში სისტემატურად კლებულობს. საკმარისია ითქვას, რომ მათი თანაფარდობა ჩვენი ქვეყნის მშპ-სთან ბოლო რვა წელიწადში 3-ჯერ და მეტად შემცირდა (2007 წლის 20.6 პროცენტიდან 2014 წლის 6.5 პროცენტამდე).

მესამე ფაქტორი, რომელიც მოქმედებს ვალუტის კურსზე, ესაა **უცხოეთიდან საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილები,** ძირითადად, ჩვენი თანამემამულე შრომითი მიგრანტების მიერ. საქართველოში უცხოეთიდან განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა 2014 წელს 1440.8 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო მთლიანად 2001-2014 წლებში – თითქმის 11 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (შედარებისათვის: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იმავე პერიოდში – 11.7 მლრდ. აშშ დოლარი), რაც 2007 წლის მთლიანი შიგა პროდუქტის ეკვივალენტურია. ეს **მოსახლეობის ერთ სულზე** 2.4 ათასზე მეტი აშშ დოლარია, რაც თითქმის 2.5-ჯერ აღემატება 2008 წლის აგვისტოს ომით დაზარალებული საქართველოსათვის დონორთა ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებით გამოყოფილ დახმარებას (გრანტები+შეღავათიანი კრედიტები) და თითქმის ხუთჯერ – „მარშალის გეგმით“ დასავლეთ ევროპისათვის გამოყოფილ სახსრებს (ამჟამინდელ ფასებში).

ბოლო წლებში ფულადი ტრანზაქციების მოცულობა მნიშვნელოვნად სჭარბობდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას (დაახლოებით 1.4-ჯერ), რაც მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ **მოსახლეობის თვითშენახვისა და გადარჩენის ინსტინქტი გაცილებით უფრო ეფექტიანი, შედეგიანი იყო, ვიდრე საქართველოს ყბადაღებული „საინვესტიციო მიმზიდველობა“ და „ბიზნესის წარმოების სიიოლე“.**

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ)

* ავტომობილების ექსპორტი 2015 წლის იანვარში წინა წლის იანვართან შედარებით ფაქტობრივად განახევრდა და შეადგინა 22.2 მლნ. აშშ დოლარი, ნაცვლად ერთი წლის წინანდელი 43.4 მლნ. აშშ დოლარისა.

** ამ ტენდენციის საპირისპიროდ, უკვე 2015 წლის იანვარში 2014 წლის იანვართან შედარებით მკვეთრად - 12.8-ჯერ შემცირდა ღვინის ექსპორტი საქართველოდან - 14.8 მლნ. აშშ დოლარიდან 5.2 მლნ. აშშ დოლარამდე.

SIC!

ᲪᲡᲣ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲒᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ!

ᲡᲣᲡ-ᲘᲡ ᲠᲘ�გᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲒᲐᲡᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ!

– ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ, სამწუხაროდ, ცხოვრებაში ყველაფერს წინასწარ ვერ დაგეგმავ. ორი დიდი დაბრკოლება მოაქვს რეალობას: ცრუ ინფორმაცია და ადამიანის დაუოკებელი სიხარბე. ამ გაყალბებულ რეალობაში აღმოცენდებიან ხოლმე მურმან დუმბაძეები, რომელთა ერთგულების პალიტრა მხოლოდ მწვანე ფერებს შეიცავს. დღესდღეობით მხოლოდ ფული და ძალა ხარობს ქვეყანაში. ორთავე, სამწუხაროდ, „პოსტ-ნაცების“ ხელშია.

ბატონო ბიძინა, ნათქვამია, მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა – ენდეთ ზოგჯერ მომაბეზრებელი, მაგრამ ერთგული ხალხის ჩივილს. მოაშორეთ ქვეყნის ნიადაგს „ნაცსარეველა“. მაშინ არ დაგჭირდებათ მინისტრთა კაბინეტში ხშირი კარუსელების მოწყობა, რადგან საზოგადოებისთვის ეკონომიკური სიძნელეები არის აღელვების გამომწვევი, მაგრამ არა მთავარი მიზეზი.

მე კი, ძველებურად, რეალობას გაგიმხელთ და არაერთხელ აღსრულებული პათოსით გეტყვით: **დეზინფორმაციას გაწვდიან, ბატონო ბიძინა!** რა ქნას მჭედლიშვილმა, თუკი მასთან უკვე გაყალბებული ინფორმაცია მოდის? ანუ, სუსის ჟარგონით რომ ვთქვათ, როგორც ყიდულობს, ისე ჰყიდის!

აჭარისა და გურიის სიურპრიზებს მომზადების თაობაზე ხომ უნდა სცოდნოდათ ადგილობრივ სპეცსამსახურებს?! იმიტომ აქვს ამ სამსახურს თავსართი „სპეც“, რომ დროზე მოიპოვოს და გადასცეს ინფორმაცია მთავარ ოფისში. რაც მთავარია, გადასცეს ინფორმაცია თავსართი „დეზ“-ის გარეშე!

სიტყვა „დეზი“ ტყუილად არ წამომცდა. ვის შეუძლია ამ „დეზ“-ების შეთხზვა? აჭარის „სუს“-ის უფროსის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ბ-ნი უჩა შანიძე გახლავთ. მან წინა რეჟიმის ხანაშიც მუშაობა კუდ-ის უფროსის (პატარიძის) მოადგილეობით დაიწყო და ლევან ვარშალომიძის აპარატის უფროსად გააგრძელა. დამეთანხმებით, ასეთი ჩაუძირავი მხოლოდ დიდი პროფესიონალი შეიძლება იყოს! მითუმეტეს, მას უნდა სცოდნოდა თურქეთში ნაცლიდერების არაერთი შეხვედრის შესახებ. ასევე უნდა სცოდნოდა მურმან დუმბაძისა და მისი თანამოაზრეების საბოტაჟის მოწყობის სამზადისიც.

ცოტა უცნაურია ბ-ნი პრემიერის უკვე ფაქტის წინაშე დაყენება. რატომღაც ბ-მა მირიან მჭედლიშვილმა ძველდროინდელ და საკმაოდ ოდიოზურ „კუდ“-ის თანამშრომლებს ნდობა გამოუცხადა!

გაეცანით ერთ-ერთი მათგანის გია ჩიხლაძის ნამსახურების ნუსხას. მისი ინფორმაცია ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე პირდაპირ მიდიოდა ვ. მერაბიშვილთან, ა. მესხელთან და ვ. ლილუაშვილთან. ჩიხლაძე ხელმძღვანელობდა „ქართულ ოცნებაში“ აგენტების ჩანერგვას ან მათი წევრების გადმობირებას. სამწუხაროდ, დღეს ამ აგენტების შესახებ ინფორმაცია აქვს მხოლოდ მას, ვ. ლილუაშვილს და მიმალვაში მყოფ დათა ახალაიას.

სწორედ ჩიხლაძის სამმართველო იღებდა ფარულად „ქართული ოცნების“ დამფუძნებლებს, მათ ოჯახებს, ახლო ნათესავებს. გ.ჩიხლაძის პირდაპირი კურატორი იყო და დღესაც არის ბ-ნი ვაჟა ლილუაშვილი, რომლის ყოფილი მთავარი სამმართველო სრული შემადგენლობით გადმობარგდა ახალ „სუს“-ში. ისინი ხელოვნურად ბლოკავენ კომუნიკაციას ცენტრთან, ხოლო ძველ ხელისუფლებას საინტერესო მონაცემები ვ. ლილუაშვილის გავლით მალევე მიეწოდება.

ერთხელ საუბრისას ბ-ნ მირიანს უხსენებია სიტყვა „რეკომენდატორი“, ანუ ის, ვინც პასუხს აგებს თანამდებობაზე დასანიშნი ადამიანის ვარგისიანობაზე. ეს პრინციპი, ასე თუ ისე, კომუნისტების დროს მუშაობდა. ძალიან საინტერესოა, ვინ გაუწია რეკომენდაცია გ.ჩიხლაძეს ბ-ნ მირიანთან?

ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘ ᲖᲔᲓᲛᲘ�წᲔᲕᲜᲘᲗ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲕᲘᲪᲘ: ᲡᲐᲜᲐᲛ Ბ-Ნ ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲘᲗ ᲐᲚᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ Გ. ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ, ᲘᲫᲐᲛᲓᲔ „ᲡᲣᲡ“-ᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲕᲐᲟᲐ ᲚᲘᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲛᲝᲘᲫᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲨ.

ამასთან ერთად, ძალიან დიდი ალბათობით, გ. ჩიხლაძე და ნაცების სხვა გულშემატკივრები გამართული ინფორმაციის სახით არაერთ „დეზ“-ს შეუგდებს ბ-ნ მირიანს! ამიტომ ლოგიკურად ვასკვნი, რომ ბ-ნ მირიან მჭედლიშვილთან შემოსულ და მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას საიმედოობა აკლია!

აქედან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული რეალობა მახინჯდება და თქვენ და მთლიანად ხელისუფლებას ცრუ ინფორმაცია მოგეწოდებათ.

მეგობრებო! როგორ ფიქრობთ, ვაჟა ლილუაშვილის გამოზრდილი გია ჩიხლაძე შეიძლება სუს-ის უფროსს სიმართლეს მოუყვეს? აი, ზუსტად ამ ე.წ. „სიმართლით“ ჯერ აჭარაში დავკარგეთ უმრავლესობა, შემდეგ გურიაში. რომელ ქალაქს დავკარგავთ სამომავლოდ, არავინ იცის, ამიტომ სასწრაფოთ გასაწმენდია სუს-ის რიგები მოღალატე თანამშრომლებისგან, რომლებიც დღემდე ნაცებს გადასცემენ მნიშვნელოვან ინფორმაციას!

ᲚᲐᲨᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ

ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐᲗᲘᲡ ᲐᲘᲕ ᲢᲔᲡᲢᲘᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

14-ᲓᲐᲜ 18 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲥᲘᲛᲡ ᲐᲘᲕ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲐ/ᲨᲘᲓᲡᲘᲡ ᲓᲘᲐ�გᲜᲝᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ, ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ, ᲢᲔᲡᲢᲘᲠᲔᲑᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲐᲜ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲩᲐᲘᲢᲐᲠᲝᲡ.

ᲐᲛᲐᲕᲓᲠᲝᲠᲣᲚᲐᲓ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲛᲒᲐᲕᲐᲠᲘ ᲓᲘᲐ�გᲜᲝᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡᲐᲡ, ᲐᲘᲕ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲐ/ᲨᲘᲓᲡᲘᲡ ᲓᲘᲐ�გᲜᲝᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐᲚᲣᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲐᲕᲡ.

ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ „ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ �კᲐᲜᲝᲜᲨᲘ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲘᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲐ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ნატოს ცენტრებს შემოდგომობით ითვლიან

ნატოს **სასწავლო ცენტრი საქართველოში შემოდგომაზე გაიხსნება. ამის შესახებ თბილისში ნატოს საექსპერტო ჯგუფთან შეხვედრის შესახებ განაცხადა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ღირსიაშვილმა.** 18 მარტს კი ალიანსის წარმომადგენლებმა საქართველოში განაცხადეს, რომ ნატოს პირველი სამუშაო ჯგუფის ვიზიტთან ერთად დაიწყება უელსის სამიტზე მიღებული ამ ძირითადი ზომების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს დაახლოებას ევროატლანტიკურ ორგანიზაციასთან.

„ელოდეთ ნატოს სხვა ჯგუფებსაც თბილისში“, – დაგვპირდა საქართველოში ნატოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ულიამ ლახიუ, რომელმაც ისაუბრა ნატოს ექსპერტთა პირველი სამუშაო ჯგუფის მიზნების შესახებ. მათ უნდა ჩამოაყალიბონ რეკომენდაციები ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით. უილიამ ლახიუმ შეგვახსენა, რომ საკითხი ცენტრის შესახებ საქართველოში გადაწყდა შარშან სექტემბერში ნატოს უელსის სამიტზე. მაშინვე შედგა საქართველოს ნატოსთან დაახლოებით ძირითადი ზომების პაკეტიც:

„მომდევნო კვირებსა და თვეებში თბილისში ჩამოვლენ სხვა ჯგუფებიც ნატოდან ძირითადი ზომების პაკეტის დანარჩენი ნაწილების იმპლემენტაციისთვის (ნატოსთან საქართველოს დაახლოებისთვის). აქ ჩამოსული პირველი ჯგუფი კი უკვე ამ კვირაში დაიწყებს მუშაობას. ექსპერტები დაეხმარებიან საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბებაში, მისცემენ რეკომენდაციას მისი განლაგების შესახებ. ეს არის პროცესის დასაწყისი, რომელიც დაეხმარება საქართველოს, მიაღწიოს პროგრესს ნატოსთან სრული ინტეგრაციის გზაზე“.

მომავალი სამწვრთნელო ცენტრის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისა და იმის შესახებ, რომ იგი შემოდგომაზე გაიხსნება, ნატოს წარმომადგენელთან ისაუბრა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ღირსიაშვილმაც:

„ცენტრის შექმნას არ გააჩნია საფრთხე: ეს არ არის სამხედრო ბაზა – ეს არის საწვრთნელი და შეფასების ცენტრი“.

როგორც ჩანს, ამ სიტყვებით ლევან ღირსიაშვილი კიდევ ერთხელ შეეცადა, საქართველოს სახელით გაეფანტა რუსეთის „საფრთხეები“. მოსკოვში არაერთგზის გამოეხმაურნენ კრიტიკულად ალიანსის საწვრთნელი ცენტრის საქართველოში გახსნის გეგმებს. მაგრამ საქართველოში საფრთხის შესახებ გაისმის ხმები არა მხოლოდ კრემლის შესაძლო რეაქციასთან დაკავშირებით საწვრთნელის ცენტრის გახსნაზე. ბევრს აშფოთებს „ქართული ოცნების“ ცალკეული წევრების გახშირებული განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველოს კურსი არ უნდა იყოს მიმართული ნატოში შესვლაზე.

თავის მხრივ, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ მთავრობის დაშორება ევროატლანტიკური კურსისგან დაასახელეს მმართველი კოალიციიდან მათი გამოსვლის მიზეზად. პარტიის ხელმძღვანელმა, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ 18 მარტს ხელისუფლება გაფრთხილა, თუ რით არის საქართველოსთვის სახიფათო – უარი განაცხადოს მისწრაფებაზე, გახდეს ნატოს წევრი:

„ერთადერთი რისკი არის ის, რომ ის აგრესიული ექსპანსია, რომელიც რუსეთიდან მოდის, გახდება პირდაპირი საფრთხე საქართველოსთვის, როგორც ეს იყო 90-იანი წლების დასაწყისში და როგორც ეს მოხდა 2008 წელს. ჩვენთვის მთავარი საფრთხე ამჟამად ჩვენივე პასიურობიდან გამომდინარეობს. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ საქართველოში არ მოხდეს უშიშროების იმ პროექტების რეალიზაცია, რომლებიც დაიგეგმა უელსის სამიტზე“.

მიუხედავად ამისა, ირაკლი ალასანიამ თავი შეიკავა კონკრეტულ ფაქტებზე საუბრისგან. მან განაცხადა, რომ შემდეგ კვირას, მას შემდეგ, რაც ნატოდან მიიღებს მეტ ინფორმაციას, უფრო დაწვრილებით ილაპარაკებს იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატება ხელისუფლების უმოქმედობა.

ქართველ მეთვალყურეთა უმრავლესობა ჯერჯერობით არ მიიჩნევს, რომ საქართველო უხვევს ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან. ბევრი მათგანი გვთავაზობს, მოვიცადოთ და თვალყური ვადევნოთ, მკაფიოდ გაჰყვება თუ არა ხელისუფლება საწვრთნელი ცენტრის გახსნის გეგმას, რომელიც შედგენილია ნატოს ექსპერტების მიერ.

Эхо Кавказа
echokavkaza.com



ეჰ, ვახტანგ, ვახტანგ კიკაბიძევ!

უკრაინულ **და რუსული მასმედიაში ვახტანგ კიკაბიძის განცხადებების თაობაზე ინფორმაციის ბუმი დადგა: რატომ თქვა ქართველმა ხელოვანმა, უკრაინას პოლიტიკური თავშესაფარი უნდა ვთხოვოო... კომენტარები და შეფასებები ნეგატიურიცაა და დადებითიც, თუმცა, უფრო საინტერესო იქნება მკითხველი თვითონ გაეცნოს:**

რუსული გაზეთის „კომერსანტის“ სტატია სათაურით **„ვახტან კიკაბიძემ უკრაინას მხარი დაუჭირა“: „ცნობილი მომღერლისა და მსახიობის ვახტანგ კიკაბიძის სენსაციური განცხადება უკრაინაში პოლიტიკური თავშესაფრის სურვილის თაობაზე თბილისში სერიოზულად არ მიუღიათ და მას მხოლოდ უკრაინის მიმართ გამოჩენილი სოლიდარობის „სიმბოლურ ჟესტად“ აღიქვამენ,** – აღნიშნულია სტატიაში (ავტორი – გიორგი დვალი).

ვახტანგ კიკაბიძემ ეს განცხადება გუშინ კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა, როცა უკრაინაში დასაქმებულ ქართველებზე საუბრობდა: **„ცოლს ვუთხარი, ვთხოვოთ უკრაინას პოლიტიკური თავშესაფარი-მეთქი. ისიც დამეთანხმა – კარგიო, მითხრა. მე აქ ყველა ქართველს ვიცნობ და ვთვლი, რომ კარგი გუნდია შეკრებილი“,** – თქვა ვახტანგ კიკაბიძემ, რომელსაც უკრაინაში „წლის ადამიანის“ პრემია უნდა გადასცენ.

თბილისში ცნობილი მომღერლის განცხადება-გადაწყვეტილებით გაოცებულები დარჩნენ: „არც კი ვიცი, რა კომენტარი გავუკეთო... მას ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე“, – განაცხადა მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების ერთ-ერთმა ლიდერმა **ლევან ბერძენიშვილმა**. კულტურის სამინისტროში კი „კომერსანტს“ უთხრეს, რომ ვახტანგ კიკაბიძე ქართველების საყვარელი და პატივსაცემი მომღერალი და მსახიობია: **„რა თქმა უნდა, მას თავისი შეხედულებების გამო სამშობლოში არავინ არ დევნის. საერთოდ, ეს წარმოუდგენელია“,** – განაცხადა კულტურის უწყების წარმომადგენელმა, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა. „კომერსანტის“ წყაროს აზრით, **ბუბას გადაწყვეტილება უფრო მეტად დაკავშირებულია უკრაინისადმი სოლიდარობასთან, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებისადმი პროტესტის გამოცხადებასთან“.**

ვახტანგ კიკაბიძე ექს-პრეზიდენტ მიხეილ საკაშვილის ახლო მეგობრად ითვლება. **იგი აქტიურად უჭერდა მხარს ყოფილ პრეზიდენტს რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. მოგვიანებით ვახტანგ კიკაბიძემ განმარტა, რომ უკრაინაში პოლიტიკური თავშესაფრის მიღების სურვილის თაობაზე მან იხუმრა“,** – აღნიშნულია პუბლიკაციაში.

ხუმრობა იქით იყოს და აი, რა თქვა რუსეთის რადიოსადგურ **„რუსსკაია სლუჟბა ნოვოსტეის“** ეთერში ცნობილმა მწერალმა **ედუარდ ლიმონოვმა: „ასლა ხუმრობების დრო არ არის. ასეთი რამეზე ადამიანმა არ უნდა იხუმროს... უმჯობესი იქნება ვახტანგ კიკაბიძემ რუსეთში მიღებული ფული დააბრუნოს. სადაც უნდა იქ წავიდეს და პოლიტიკური თავშესაფარი მიიღოს, მაგრამ ჩვენზე ნურც კარგს ილაპარაკებს და ნურც ცუდს. ნორმალური და მშვიდი ადამიანი, თუ მას სამშობლო არ აწყობს, არაფერს იტყვის და ასევე ნორმალურად და მშვიდად წავა – ისე, რომ არავინ გაიგებს. ამან კიდევ საქვეყნოდ განაცხადა... ეს რა, ეს კარის გაჯახუნებაა?“.**

თითქოსდა შემთხვევით ვახტანგ კიკაბიძის შესახებ სტატიას აქვეყნებს შვეიცარიის გერმანულენოვანი გაზეთი **„ნოიე ციურჰერ ცაიტუნგი“** სათაურით **„რა არის ხალხთა მეგობრობა? ქართველი ლეგენდარული ხელოვანი ვახტანგ კიკაბიძე საუბრობს“** (ავტორი **ტატიანა მონტიკი**).

„ვახტანგ კიკაბიძე საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საქართველოს სახე იყო - იგი მსახიობობდა, მომღერლობდა, რეჟისორობდა და სცენარისტობდა... მოკლედ, საბჭოთა კავშირის დროს ვახტანგ კიკაბიძემ ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა. მაყურებლის ხსოვნაში იგი „მიმინოს“ სახით დარჩა, რომელიც მან მისივე მეგობრის – გიორგი დანელიას იგივე დასახელების ფილმში შეასრულა. ვახტანგ კიკაბიძე საბჭოთა და რუს კულტურის მოღვაწეთა ელიტას მიეკუთვნებოდა, მაგრამ 2008 წელს ყველაფერი შეიცვალა - როცა რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ელვისებური ომი განახორციელა სამხრეთ ოსეთის გამო, ქართველმა ხელოვანმა საჯაროდ განაცხადა, რომ რუსეთის მიწაზე ფეხს არასოდეს აღარ დაადგამდა. მან თავისი სიტყვა შეასრულა.

75 წლის ვახტანგ კიკაბიძემ საუბრისათვის თბილისის ერთ-ერთ რაიონში – ვაკეში, მაღალ ადგილზე მდებარე დიდ სახლში მიმიწვია. გარედან შენობა ციხე-სიმაგრეს ჰგავს, შიგნით კი – მუზეუმს: ძველი ფოტოსურათები, კინოპლაკატები, რეკლამები, ძველი ანტიკური ავეჯი...

როცა საბჭოთა პერიოდის დროინდელ შემოქმედებაზე საუბრობს, ვახტანგ კიკაბიძე სიგარეტს ზედიზედ ეწევა და თან მწარე სიცილით ყვება, რომ „იმ პერიოდში საბჭოთა ხელოვნების მუშაკებს საზღვარგარეთ მხოლოდ ჯგუფურად უნდა ევლოთ და საბჭოთა პასპორტი პიჯაკზე მიმაგრებული უნდა ჰქონოდათ“. მსახიობს რომ თავის აზრი გადმოეცა მაყურებლისათვის, შენიღბულად უნდა ემოქმედა. ფილმები იკრძალებოდა, რეჟისორები იძულებულნი იყვნენ, უცხოეთში გადახვეწილიყვნენ: „როცა მე უარი ვთქვი მინისტრის საყვარელ ქალთან ერთად როლი მეთამაშა, ორი წელი დისკვალიფიკაცია მომცეს“.

მართალია, საბჭოთა კავშირში ეროვნული უმცირესობების წარმოადგენლებს გასაქანს არ აძლევდნენ, მაგრამ ვახტანგ კიკაბიძემ, რომელსაც რუსულად საუბრის დროს ქართული აქცენტი აქვს, მაინც მოახერხა და თავისი ქართველობა შეინარჩუნა, მას მოფერებითა და პატივისცემით „ბუბას“ ეძახდნენ. ვახტანგს, რასაკვირველია, რუსი თაყვანისმცემლები ბევრი ჰყავს: „რომ იცოდეთ, როგორ წერილებს ვღებულობ რუსეთიდან, იტირებდით“.

„როცა 2008 წელს საქართველოში პირველი რუსული ტანკი შემოვიდა, – ამბობს კიკაბიძე, – მე ოთახში ჩავიკეტე და სიმწრით ავტირდი“. ომის შემდეგ მას რუსეთიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ ხალხთა მეგობრობის ორდენით გაჯილდოვებთო: „მე მადლობა ვუთხარი და მიღებაზე უარი განვაცხადე“.

ვახტანგ კიკაბიძეს სჯერა, რომ დღეს 2008 წლის ქართულ სცენარს რუსეთი უკრაინაშიც ახორციელებს. მაშინ საქართველომ თავისი ტერიტორიის 20% დაკარგა – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ორივე რუსეთის მარიონეტული დანამატები გახდნენ. მან არ იცის საქართველოსა და რუსეთის შერიგების რეცეპტი, რადგან ვლადიმირ პუტინს მხოლოდ ერთი რამ სურს: საბჭოთა კავშირის აღდგენა.

კრაინის მიმართ ვახტანგ კიკაბიძეს განსაკუთრებული გრძნობა აქვს: **„მამაჩემი მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს, ყირიმში დაიღუპა. და ახლა ყირიმი რუსეთმა დაიპყრო! განა ეს შესაძლებელია 21-ე საუკუნეში?“, – ემოციურად ამბობს კიკაბიძე, პაუზას აკეთებს და დასძენს, რომ ახლა რომ 30 წლის იყოს, ბრძოლის ველზე გავა სამართლიანობას დაიცავს და სუსტის მხარეს დადგება.**

რუსეთმა რომ უკრაინა მუხლებზე დააჩოქოს, მაშინ ევროპის სხვა სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს საფრთხე დაემუქრებათ. რუსეთისათვის კვლავ შესაძლებელი გახდება საქართველოში შემოსვლა: „არ გამოვრიცხავ, რომ ეს ხვალაც მოხდეს“.

ვახტანგ კიკაბიძეს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს რუსი მაყურებლის წინაშე გამოსვლის იმედი, მაგრამ მხოლოდ ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ. **„ მე მაქვს ახალი იდეები, ახალი სცენარები“,** – ამბობს ხელოვანი. იგი მუშაობს ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებზე სახელწოდებით „მე და შენ“, რომელშიც იხსენებს ყველა იმ ადამიანს, რომლებთან შეხვედრა ცხოვრებამ აჩუქა. იგი იხსენებს, თუ როგორ იზრდებოდა რვა კვადრატული მეტრის ფართობის მქონე უსარკმელო სახლში...

მოამზადა სიმონ კილაძემ, „რეპორტიორის“ ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელმა

დედამიწის ზურგზე

უცნობმა თეთრ სახლში გაგზავნა ციანიდიანი კონვერტი

თეთრი სახლის საფოსტო სამსახურმა საეჭვო კონვერტი მიიღო. თავდაპირველად ბიოლოგიურმა შემოწმებამ უარყოფითი შედეგი აჩვენა. მაგრამ მეორე დღეს განმეორებითმა ანალიზმა ციანიდის ნიშნები გამოავლინა. ამჟამად მიმდინარეობს გამოკვლევა. თეთრი სახლი ჯერჯერობით ოფიციალურ კომენტარებს არ აკეთებს.

* * *

პროტესტის ასობით მონაწილემ ალყა გაარღვია ფრანკფურტში ევროპის ცენტრალური ბანკის გარშემო

მემარცხენე აქტივისტებმა, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ევროპის ცენტრალური ბანკის პოლიტიკის წინააღმდეგ, ალყა შემოარტყეს ბანკის შენობას მისი გახსნის საზეიმო ცერემონიის წინა დღით. დაწვეს რამდენიმე ავტომობილი, პოლიციამ მოამზადა წყალმფრქვევები, დროდადრო ბანკის მახლობლად გაისმის ხმები, რომლებიც სროლებს მოგვაგონებენ.

* * *

„ბლუნგბერგმა“ გაიგო, თუ ევროკავშირის რომელი ქვეყნები გამოდიან რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მოხსნის მხარდასაჭერად

რეჟიმის შემსუბუქებას მხარს უჭერენ მოსკოვში ვიზიტად ჩასული იტალიის, საბერძნეთისა და კვიპროსის, აგრეთვე ესპანეთის, ავსტრიის, უნგრეთისა და სლოვაკიის ლიდერები. იმის შანსი, რომ გააგრძელონ სანქციები მაისის სამიტზე, უკიდურესად მცირეა, და, როგორც ჩანს, გადაწყვეტილება გადაიდება ივნისამდე.

* * *

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სირიის ცაზე უპილოტო თვითმფრინავი დაკარგა

ადრე სირიის ეროვნული სააგენტო „სანა“ იტყობინებოდა, რომ სირიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ ლატაკიის ქალაქგარეთ, თურქეთის საზღვრის მახლობლად ჩამოაგდო ამერიკული უპილოტო თვითმფრინავი. ამ მომენტამდე სირიელები ხელს არ უშლიდნენ ანტიტერორისტული კოალიციის ავიაციის ფრენებს თავიანთ ტერიტორიაზე.

◎ მოფერება



„არ მაქვს უფლება ცუდად ყოფნისა!“

19 მარტი ქართველ ჟურნალისტთა მრავალი თაობის აღმზრდელის, დიდი მაესტროს დაბადების დღეა. საქართველოში ტოტებს ქარისას არა მხოლოდ გადაჰყვა მარტი, არამედ გადმოჰყვა კიდეც: 17 მარტს „გალაკტიონმა ცაში თვითონ გაშალა ფრთები“, ხოლო 19 მარტს დაიბადა მისი უსაყვარლესი ძმისშვილი **ნოდარ ტაბიძე** — დიდი გვარის ღირსეული მემკვიდრე, თბილისის უნივერსიტეტის დამამშვენებელი, ვისაც „ნაციონალურმა“ მთავრობამ, ღვაწლის დაფასების ნაცვლად, დიდი ტკივილი მიაყენა და ამის გამოსწორება დღემდე ვერ მოხერხდა. მაგრამ ღირსებას ხომ პიროვნებას ვერავინ წაართმევს. ვერც იმ უკიდეგანო სიყვარულს წაართმევენ, თავისი ნამოწაფარები ასე გულუხვად რომ უძღვნიან. ვუსურვოთ ბატონ ნოდარს დღეგრძელობა და სიმხნევე, რათა ჩვენც გვამხნევებდეს მისი განუყრელი ფრაზა: „არ მაქვს უფლება ცუდად ყოფნისა“...

ტრიო

ბატონ ნოდარ ტაბიძეს

გალაკტიონთან ერთად
და ტიციანის გვერდით...
წელგამართული მეტად,
ხართ მადლიერი ხვედრის.
ასეთი არის ბედი...
უფლის რჩეულთა ბედი,
რასაც რომ ინატრებდა
ამ ქვეყნად არაერთი.
ქმნის უკვდავების ტრიოს
ტაბიძეების ჯიში...
და ზმანებებში რიონს
ხელებში აჰყავს ჭყვიში.
გეძახით, როგორც ადრე,
სიყრმის ფერადი ვანი...
სადაც ამაღლდა ცამდე
პატარა ეზო-კარი.
როგორც დაღლილი დენდი,
გაეპარებით ქალაქს...
იქ, რიონისპირს, დედა
ისევ დაეძებს გალას...
თქვენ ის ძახილიც გესმით:
„სადა ხარ, გატუნია?..“
ღამით აბოდებს ლექსი
ფშანში გატრუნულ ნიავს.
ბუდობს გარშემო სათნო,
დაუვიწყარი ხმები...
და განა ღვინო გათრობთ,
მარადისობით თვრებით.
იქ კვიპაროსი ღელავს,
მთვარე კამკამებს ბადრი...
და იღვენთება ნელა
გულს მოწოლილი დარდი.
წელგამართული მეტად
ხართ მადლიერი ხვედრის...
გალაკტიონთან ერთად
და ტიციანის გვერდით.

ელგუჯა მარღია

◎ ალიან-ჩალიანი

საბავშვო ბაღში - საშიში ხორცი!

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ თბილისის საბავშვო ბაღში ჯანმრთელობისთვის საშიში ხორცი აღმოაჩინა. სააგენტომ მონიტორინგის შედეგად თბილისის 121-ე მუნიციპალურ საბავშვო ბაგა-ბაღში ხორცის ნიმუში აიღო და გამოსაკვლევად ლაბორატორიას გადაუგზავნა. კვლევის შედეგად ხორცის ნიმუშში აღმოჩნდა პარაზიტი სარკოცისტოზი(სარკოსპორიდიოზი), რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

მათივე ინფორმაციით, საბავშვო ბაღს ხორცით ამარაგებს კომპანია „ფუდსერვისი“. თბილისის საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოს დაევალა ყველა საბავშვო ბაღიდან „ფუდსერვისის“ მიერ მიწოდებული ხორცის გამოთხოვა, რაზეც ზედამხედველობას სურსათის ეროვნული სააგენტო განახორციელებს.

◎ მწერალი რედაქციაში

მოსალოდნელია მხატვრული ფილმი დავით აღმაშენებლის შესახებ?!.

— იცით, საიდან მახსოვხართ, დათო?.. 1989 თუ 90 წელია, უკვე ბობოქრობს საქართველო, უნივერსიტეტის წინ სტუდენტობა შეკრებილა, რომელთა წინაშე თქვენ მგზნებარე სიტყვით გამოდიხართ, დავით გარეჯის პრობლემებზე მთელი ხმით საუბრობთ... სახელი და გვარიც გავიგე — დათო ტურაშვილი... მერე, თანდათან, მთელი ამბები დატრიალდა ამ ბედკრულ მიწაზე...

ელოდით მოვლენათა ასეთ განვითარებას?

— რასაკვირველია ველოდი პრობლემებს, რადგან დამოუკიდებლობის მხოლოდ დეკლარირება სრულიადაც არ არის საკმარისი ძლიერი და თავისუფალი სახელმწიფოს შესაქმნელად და მითუმეტეს რთულია დემოკრატიული და თანამედროვე საზოგადოების სწრაფად ფორმირება, თუ უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა არ გაგაჩნია. თუმცა, ობიექტური მიზეზების გარდა, არსებობდა (და ახლაც არსებობს) რამდენიმე სუბიექტური მიზეზი, რის გამოც ასე გვიჭირს პრობლემის მოგვარება...



* * *

მე რომ დრო გავიხსენე, მას შედეგ თითქმის 30 წელი გავიდა და, ამ ხნის განმავლობაში დათო ტურაშვილი თანდათან ჩამოყალიბდა ქართული სიტყვის ოსტატად, კარგ პროზაიკოსად, საქართველოში რომ ვერ „დაეტია“, ესპანეთში წავიდა სასწავლებლად, საკუთარი მოთხრობებითა თუ თარგმანებით სიყვარული და პატივისცემა არ დააკლო იქაურობს. ჩამოვიდა დათო სამშობლოში და მრავალი შთაბეჭდილებიდან ერთ-ერთი მთელ საქართველოს გააცნო — ესპანელები ყოველ წელს აღნიშნავენ თავიანთი სიამაყის — სერვანტესის დღეს და კარგი იქნება — თუ ჩვენ რუსთაველის დღეს დავაწესებთო.

თვითონვე მიდგა-მოდგა, ცდა არ დააკლო ამ იდეის განხორციელებას და საქართველოში მართლაც დაწესდა „რუსთაველის დღე“. თუ გახსოვთ, უნივერსიტეტში და სხვა ადგილებშიც ბავშვები, სტუდენტები თუ ხანში შესულნი კითხულობდნენ „ვეფხისტყაოსანს“... რა ჯობდა ამას... ვაი რომ დღევანდელ საქართველოში აღარავის სცხელა „ვეფხისტყაოსნის“ საკითხავად, ვაი რომ უფრო მეტად „ეროვნული“ ამბებით ვართ დაკავებულნი...

— დათო, იქნებ თქვენ გვითხრათ, რატომ დავივიწყეთ „რუსთაველის დღე“?

— რამდენადაც ვიცი, „რუსთაველის დღე“ აღინიშნება ყოველ წელს, 17 მაისს, და არა მხოლოდ უნივერსიტეტში, არამედ ყველგან ჩვენს ქვეყანაში, სადაც ადამიანებს ამის სურვილი გააჩნიათ.

— ნეტა ეგრე იყოს!.. იყოს იმ დონეზე, როგორც რუსთაველს ეკადრება... „ვეფხისტყაოსნის“ კითხვას რომ ვამბობთ, აქვე, ალბათ, წიგნის კითხვის პრობლემაზე უნდა ითქვას ერთი-ორი სიტყვა... ოცდამეერთე საუკუნის ტექნოლოგიებმა, ინტერნეტმა, კომპიუტერთან დასვა ხანში შესული თუ ახალგაზრდა, წიგნი კი უკანა პლანზე გადავიდა, რაც, შეიძლება ითქვას, საგანგაშოა... თუმცა, თქვენ უფრო იცით ამის შესახებ, რადგან, ამ ბოლო დროს უკეთილშობილეს მისიას ასრულებთ — საქართველოს მთასა და ბარში მოსახლეობას წიგნებს ურიგებთ...

— წიგნებს იმის მიხედვით ვარიგებ, სადაც უჭირთ და აკლიათ და როცა მიკავშირდებიან და ამ მხრივ დახმარებას მთხოვენ, ყველაზე შორეულ სოფელშიც კი სიხარულითა და სიამოვნებით მივდივარ. ოღონდ საქართველოში ადამიანებმა წიგნები იკითხონ და ჩემი ხელით ჩავიტან ყველგან, სადაც კითხვა ენატრებათ...

— ისე, გულუხვობა ნაღდად არ გაკლიათ, — ჯერ არაფერი დამიბეჭდავს თქვენზე და უკვე დამასაჩუქრეთ საკუთარი წიგნებით... დიდი მადლობა ამისთვის... აი, სერვანტესის საბავშვო „დონ კიხოტის“ თქვენეულ თარგმანს „დონ კიხოტე“ აწერია, რა ხდება? რატომ დონ კიხოტე? ჩვენთან ხომ უამრავმა თაობამ ასე იცის: დონ კიხოტი...

— იცის ნიკოლოზ ავალიშვილის შესანიშნავი, ოღონდ რუსულიდან თარგმნით — „Дон Кихот“... ესე იგი, „დონ კიხოტი“... არადა, ესპანურად არის „დონ კიხოტე“... მეც ასე ვთარგმნე...

— ამით, ერთგვარად ხომ არ კნინდება სიტყვა?.. „დონ კიხოტი“ მაინც სხვა მგონია... უფრო ამაღლებული...

— ვერ გეტყვით...

— ამ წიგნში კი ლეგენდებია დავით აღმაშენებელზე, არა?

— დიახ... „ტყეების მეფე“ დავარქვი რომანს... „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერასოდეს გამოხვალ ველთა“ — ასე სწერდნენ სელჩუკები ჯერ კიდევ გაპარტახებული საქართველოს მეფეს, დავით აღმაშენებელს, რომელსაც მამამისის, გიორგი II-ის მიერ ტახტის დათმობის შემდეგ ჭაბუკობაშივე მოუწია, რომ თავის თავზე აეღო ძალიან რთული მისია — ტყე-ღრეებად ქცეული საქართველო კვლავ სახელმწიფოდ ექცია... ეს თავდაპირველად კინოსცენარი იყო და დიდ მეფეზე ფილმის გადაღება უნდოდათ, რაც აღარ გამოვიდა და ვეცადე შემექმნა რომანი. აქ ერთმანეთშია გადახლართული ლეგენდები და ისტორიული ცნობები და უდიდესი ქართველი მეფის წინააღმდეგობრივ ხასიათს, მის ახლო გარემოცვასა და ისტორიული ფაქტების განსხვავებულ ვერსიებს გვაცნობს...

— ეჭვი არ მეპარება, რომ საინტერესო იქნება... თქვენი წიგნი ხომ ახლახან გამოვიდა, ჰოდა, ვინ იცის, იქნებ, კინორეჟისორები კვლავ დაინტერესდნენ.... ქართველები რა ხანია, ველოდებით ფილმს დავით აღმაშენებელზე...

— ღმერთმა ქნას!..

ვილენ მარდალეიშვილი

ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2014 წლის ფინანსური ანგარიში

„კავშირის“ შემოსავალმა 2014 წელს შეადგინა 34200 ლარი. მ/წელს გაწეულია 33720 ლარის ხარჯი. ჩატარდა 35 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა - საჩუქრებით, მაისის თვეში ომის 6 მონაწილესთან აგრეთვე მოეწყო საზეიმო შეხვედრა, 67 ვეტერან-ქალბატონთან 3 და 8 მარტის აღნიშვნა და დეკემბრის თვეში 85 წლის და ზევით 25 ვეტერან-ენერგეტიკოსთან შეხვედრა სამახსოვრო ფოტოსურათების გადაცემით. ზემოჩამოთვლილ ღონისძიებებზე დაიხარჯა 4432 ლარი.

ვეტერანებზე დახმარება გაიცა 1387.50 ლარი, საკანცელარიო ხარჯი 434 ლარი, ადმინისტრაციაზე, კომუნალურ მომსაურებაზე და კომპიუტერზე 25345 ლარი, გაზეთში განცხადებების განთავსებაზე 772 ლარი, ბანკის მომსახურებაზე 135 ლარი, ამორტიზაცია 162 ლარი, ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზე 137 ლარი, ქონების გადასახადი 8 ლარი, აუდიტის მომსახურებაზე 100 ლარი, არასაოპერაციო ხარჯი 85 ლარი, წესდებაში ცვლილებების შეტანაზე 123 ლარი, ოფისის იჯარაზე გადახდილია 600 ლარი.

„კავშირის“ ერთჯერადად მიღებული გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემულია ვეტერანებზე დახმარება 1500 ლარი. ნაშთი 1/I-2015 წლისთვის არის 1625 ლარი.

ბალანსი 1/I-2015 წლისათვის

აქტივი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს	პასივი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები (1110, 1210)	2997	1343	მიმდინარე აქტივები	788	–
სასაქონლო მატერიალური მარაგი (1700, 1900)	20	114	სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება (5490)	–	480
გრძელვადიანი აქტივი (2160)	895	648	გაუნაწილებელი მოგება	3124	1625
სულ აქტივები	3912	2105	სულ პასივები	3912	2105

რევო მშვიდობაძე, თავმჯდომარე.
ციცინო ბენაშვილი, ბუღალტერი

◎ ფეხბურთი

სიმეონეს სიბრძნე

მართლაც ნაადრევად დაბრძენებული ახალგაზრდა თავკაცი ჰყავს მადრიდის „ატლეტიკოს“. დიახ, დიეგო სიმეონემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სწორად შერჩეული ტაქტიკით, მოულოდნელი წინაღობების მიუხედავად, ნებისმიერი ამოცანის წარმატებით გადაჭრა შეიძლება.

„ატლეტიკო“ — „ლევერკუზენი“ — 1:0
(პირველი მატჩი — 0:1)
პენალტებით — 3:2

პირველი შეხვედრისა არ იყოს, სტუმრებს ამჯერადაც იძულებითი ცვლილებების განხორციელება მოუხდათ, რადგან ჯერ ძირითადი მეკარე მოლინა დაუშავდათ, ხოლო შესვენების წინ — დამრტყმელი ფორვარდი მანჯუკიჩი. დაცვის ბურჯის გოდინის, საყრდენი ნახევარმცველის ტიაგო სილვასა და მუდამ აქტიური მარცხენაფლანგელის სიკეირას არყოფნაში ასეთი დანაკლისი კატასტროფად გამოიყურებოდა, მაგრამ ბრძოლის ველზე რაულ გარსიას შეშვებით არგენტინელმა მწვრთნელმა უპრობლემოდ დაალაგა თავის შეგირდთა თამაში და მშვიდად მიიყვანა საქმე პენალტების სერიამდე, სადაც ნერვებმა გერმანელებს უმტყუნა.

„მონაკო“ — „არსენალი“ — 0:2
(პირველი მატჩი — 3:1)

უკანასკნელი წლების განმავლობაში არსენ ვენგერის გუნდმა მესამედ სცადა საკუთარ მინდორზე ცუდად დაწყებული საქმის გამოსწორება, მაგრამ მოჯადოებული წრე ვერც მიმდინარე სეზონში გაარღვია და მცირედი დააკლდა სრულფასოვან რევანშამდე (მანამდე — „ბაიერნთან“ 0:3 და 2:0, „ბორუსიასთან“ — 1:3 და 2:0).

ცნობისათვის: ჯგუფური რაუნდის ექვს მატჩში მონტე-კარლოელებს ერთადერთი გოლი ჰქონდათ გაშვებული. მართალია, „მეთოფეებმა“ პირადი ნორმა გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ ამბიციური პორტუგალიელი სპეციალისტის ჟარდინის მომზადებულ მეტოქეთა დასაჩოქებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ზაზას მეთორმეტე ორმაგი დუბლი

ზაზა ფაჩულიას „მილუოკი ბაქსი“ ნბა-ს რეგულარული სეზონის გასვლით მატჩში „ნიუ ორლეანთან“ 84:85 დამარცხდა. ბოლო წამზე მის თანაგუნდელ ერსან ილიასოვას 3-ქულიანი რომ ჩაეგდო, „ბაქსი“ მიმდინარე სეზონში 35-ე გამარჯვებას იზეიმებდა.



ზაზა ტრადიციულად სასტარტო 5-ეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 24 წუთი და 20 წამი დაჰყო. ფაჩულიამ გუნდს 11 ქულა, 11 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი და 1 ბლოკი შესძინა. ქართველმა ცენტრმა 9-დან 3 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო სროლა ჩააგდო. ისიც უნდა ითქვას, რომ ზაზამ 4 პერსონალური ჯარიმა მიიღო, ბურთი ორჯერ დაკარგა და 2-ჯერ დაუფარეს.

მიმდინარე სეზონში ფაჩულიამ მეთორმეტე ორმაგი დუბლი შეასრულა.

მატჩში ყველაზე მეტი — 20 ქულა „ნიუ ორლეანის“ ცენტრმა ენტონი დევისმა ჩააგდო.

ჯეისონ კიდის შეგირდები 34 მოგებით და 33 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში მეექვსე ადგილზე იმყოფებიან. „ბაქსი“ უახლოეს მდევარ „ინდიანას“ 4 მოგებით უსწრებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სუმო

გაგამარუმ წოდებაში დანინაურება გაინაღდა

მარტის სუპერტურნირზე მოასპარეზე ქართველმა სუმოისტმა თეიმურაზ ჯუღელმა, იგივე გაგამარუმ დადებითი ბალანსი (კაჩი-კოში) და წოდებაში დაწინაურება გაინაღდა.

გაგამარუმ 3 მარცხის ფონზე მე-8 გამარჯვება (იორიტაოშით) აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირა ოსუნაარაშისთან იზეიმა. შეგახსენებთ, რომ ქართველი გოლიათი ჰარუ ბაშოზე დასავლეთის მე-15 მაეგაშირას წოდებით ირჯება, რომელსაც მომდევნო ტურნირისთვის უკეთეს ტიტულზე გაცვლის.

გაგამარუს შემდეგი მეტოქე აღმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა იკიოი იქნება, რომელთანაც ხუთივე გასული ორთაბრძოლა წაგებული აქვს.

მცირე ჩავარდნა დაეწყო ტოჩინოშინის შიკოანი ცნობილ ლევან გორგაძეს, რომელმაც იოკოძუნა ჰარუმაფუჯის ძლევის შემდეგ ზედიზედ მე-3 მარცხი განიცადა და უარყოფით ბალანსზე (5 მოგება, 6 წაგება) გავიდა.

ტოჩინოშინმა მორიგი შერკინება ოძეკი კოტოშოგიკუსთან გამართა და იორიკირით დამარცხდა. ქართველ სეკიტორს დღესაც მძიმე შეხვედრა ელის, რადგანაც კიდევ ერთ ოძეკ კისენოსატოს გაეჯიბრება. ამ სუმოისტების დაპირისპირებაში იაპონელი 11:3-ს იგებს.

ჰარუ ბაშოს ჩემპიონობას კიდევ უფრო მიუახლოვდა მონღოლი იოკოძუნა ჰაკუჰო, რომელმაც მიჯრით მე-11 გამარჯვება ოძეკ გოეიოდოსთან იზეიმა და უახლოეს კონკურენტს — სეკივაკე ტერუნოფუჯის უკვე 2 მოგებით გაუსწრო.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

წინდახედული იოლანდა

ვეტერანი ნიდერლანდელი ნახევარმცველის ვესლი სნეიდერის მოდელი ცოლი იოლანდა ვან კასბერგენი ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისთვის და შვილებისათვის უმჯობესი იქნებოდა ქმრის გვარზე თუ გადავიდოდა.

აქამდე მშვენიერი იოლანდა ქვას აგდებდა და თავს უშვერდა — მე პოპულარული და წარმატებული ქალი ჩემი გვარით გავხდი და ეგღა მაკლია ქმრის გვარი მივიტყეპოო, მაგრამ გავიდა წლები, ეს ჩვენი იოლანდაც ჰოლანდიური მონასტრული ლუდივით დადგა, დასერიოზულდა და მიხვდა, რომ პრაგმატული მნიშვნელობით მაინც ქმრის გვარზე გადასვლა ჯობია.

ამ წყვილს ამსტერდამის მთავარი კათედრალის მადლი ფარავდეს, მაგრამ რამე რომ იყოს და დაშორება მოინდომონ, როდესაც იოლანდა ქმრის გვარზე იქნება, ქონების გაყოფის ამბავში ეს იოლანდას მხარეს დამატებითი ფაქტორი იქნება. განშორება კიდევ ისეთი რამეა, სიკვდილისა არ იყოს, ვის როდის მიუკაკუნებს კარზე — არავინ იცის...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჩოგბურთი

ფედერერისა და ნადალის მერვედფინალები

როჯერ ფედერერმა და რაფაელ ნადალმა ინდიან უელსის BNP Paribas Open-ის „მასტერზ1000“-ის მესამე წრის შეხვედრებშიც ორსეტიანი მატჩებით იმარჯვეს. 33 წლის შვეიცარიელმა იტალიელ ანდრეას სეპის 6:3, 6:4 მოუგო, ხოლო 28 წლის ესპანელმა ამერიკელ დონალდ იანგს 6:4, 6:2 სძლია. მომდევნო სტადიაზე ფედერერი ამერიკელ ჯეკ სოკს შეხვდება, ნადალი კი მეოთხედფინალში გასასვლელად ფრანგ ჟილ სიმონს დაუპირისპირდება.

რეიტინგსიის მეორე ნომერმა ფედერერმა 31 წლის სეპის ძლევას საათი და 22 წუთი მოანდომა. როჯერმა 3 ბრეიკი, 6 ეისი შეასრულა და ანდრეასთან პირადი მატჩების ანგარიში 11:1 გახადა.

ნადალს რაც შეეხება, მალიორკელი კარიერის განმავლობაში მეორედ დაუპირისპირდა 25 წლის იანგს და მეორეჯერაც მოახერხა მისი წინააღმდეგობის დაძლევა. საათსა და 20 წუთში რაფამ 6 ბრეიკი და ერთიც ეისი განახორციელა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ვერნისაჟი

თითქმის ოთხი ათეული წლით დაგვიანებული „სტუმრობა“ დედაქალაქში...

„...ხვალ, ხუთშაბათს, 5 მაისს. კ.მ. ზდანევიჩის ატელიეში, მხოლოდ ერთი დღით, გაიმართება გამოფენა სახალხო მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატებისა (შეგროვილი კ. ზდანევიჩის მიერ). გამოფენის დათვალიერება შეიძლება შუადღის 12 საათიდან 4 საათამდე. შესვლა უფასოა. სვიატოპოლსკ-მირსკის ქუჩის კუთხე. სახლი თავად ანდრონიკაშვილისა. ეზოში მეორე სართული“, — გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 1916 წლის 4 მაისის ნომრიდან ეს მცირედი სარეკლამო განცხადება, რომელიც გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე ქართული სახვითი ხელოვნების სიამაყის ნიკო ფიროსმანის პირველი პერსონალური გამოფენის გამართვას იუწყება, ხვდება ამ დღეებში საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის სტუმრებს, სადაც მხატვრის ნამუშევართა ერთი ნაწილია გამოფენილი.

„ქალი საადღგომო კვერცხებით“

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ნიკო ფიროსმანაშვილის მირზაანის სახელმწიფო მუზეუმიდან თითხმეტი ორიგინალური ნამუშევარი დროებით ხელოვნების სასახლეშია გამოფენილი. საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიდი მხატვრის ეს ნამუშევრები, მათ შორის, „ხილის დუქანი“, „მწოლიარე ქართველი ქალი“, აბრა „წარაფი“, „ნატურმორტი შაქრის თავით“, „მუშა სოსო“, „სონა უკრავს გარმონს“, „ქალი საადღგომო კვერცხებით“, „თამარ მეფის“ ორი ვარიანტი, „მალაკნების ქეიფი“, „შოთა რუსთაველი“, „დათვი თავისი ბელებით“, „კალოობა“ და „შოთა რუსთაველი მაგიდასთან“, თბილისში ბოლოს 1978 წელს იყო გამოფენილი.

ფიროსმანი, ისევე როგორც მანამდეც და შემდგომშიც ბევრი დიდი მხატვარი, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აღიარეს. მერე და მერე მისი სახელი გასცდა საქართველოს ფარგლებს, ხოლო ნახატებით ტკბობის შესაძლებლობა მრავალი ქვეყნის ნატიფ ხელოვნებათა მოყვარულთ შეეძლოთ, მათ შორის, იტალიაში, გერმანიაში, რუსეთში, პოლონეთში, საფრანგეთში, იაპონიაში, სხვაგან. ამდენად, მნახველთათვის უდავოდ საინტერესოა ამ გამოფენების, ასევე ფილმ „ფიროსმანის“ მაუწყებელი აფიშების ხილვაც, რომლებიც წინა დარბაზშია გამოფენილი.

პაბლო პიკასო „ნიკო ფიროსმანაშვილი“, 1972 წ.

ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევართა დიდი ხნის შემდგომ თბილისში „სტუმრობა“, თავისთავად, დედაქალაქის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი საგანგებოდ გამორჩეული მოვლენაა. ამასთან, ამ ღირსშესანიშნავ გამოფენას უდავოდ სხვა განზომილებასა და ეშხს ჰმატებს დიდი პაბლო პიკასოს მიერ 1972 წელს შექმნილი ნიკო ფიროსმანიშვილის ოფორტი.

გამოფენა, რომლის მოწყობაში დიდი ღვაწლი თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს გიორგი კალანდიას მიუძღვის, 7 აპრილამდე გასტანს.

ნინო ალექსანდრია
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

◎ ალიან-ჩალიანი

ქუთაისის აეროპორტში მეტეოროლოგიური ცენტრი გაიხსნა

შენობა მეტეოროლოგიური სამსახურის დამკვირვებლებისა და ოპერატიული რადიოცენტრის თანამშრომლებისთვის არის განკუთვნილი.

მეტეო-ოფისის გახსნას ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე, ქუთაისის მერი შოთა მურღულია და იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე დაესწრნენ.

ქუთაისის მეტეოროლოგიური სამსახურის ახალი ოფისის შენობის დიზაინი ჰოლანდიურ არქიტექტურულ კომპანია — UN Studio-ს ეკუთვნის. სამშენებლო სამუშაოები ქართულმა სამშენებლო კომპანია შპს „რონკომ“ 2013 წლის 30 დეკემბერს დაიწყო და გეგმის მიხედვით, 2015 წლის მარტში დაასრულა. თანამედროვე ტიპის შენობა სრულად აკმაყოფილებს საავიაციო მეტეოროლოგიის სფეროში არსებული ორგანიზაციების — ICAO-ს (სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) და WMO-ს (მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია) მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნებს. შენობაში მოეწყო მეტეო დამკვირვებლის სამუშაო ადგილი და განთავსდა ამინდზე დაკვირვების ავტომატური სისტემის ოპერატიული კომპიუტერი.

ცენტრი აღიჭურვა ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებით, რომლებიც განკუთვნილია ამინდის, კლიმატისა და ჰიდრომეტეოროლოგიური გაზომვის, პროგნოზისა და ანალიზისთვის.

რუსეთის მოქალაქეს ჯარიმა დაეკისრა

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა საბაჟო გამშვები პუნქტ „ყაზბეგის“ ტერიტორიაზე, რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ ავტობუსში სპეციალურად მოწყობილ სამალავებში, 4372,5 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს.

ავტობუსს მართავდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე რ.კ., რომელსაც, საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, სანქციის სახით 4372,5 ლარის ოდენობის ფულადი ჯარიმა შეეფარდა.

შემოჰქონდათ არადეკლარირებული ოქრო

მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტი გამოავლინეს. საქართველოს მოქალაქე ა.მ.-ის მიერ 600 გრ არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტი რეაგირებისთვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა. მოქალაქე 14 მარტს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“, რეისით სტამბოლი-თბილისი ჩამოფრინდა და მისი კუთვნილი ხელბარგის დათვალიერების შედეგად, მებაჟე ოფიცრებმა 41 ცალი ბეჭედი, 7 სამაჯური, 4 — კულონი, 19 წყვილი საყურე და 9 ყელსაბამი აღმოაჩინეს.

საქონლის ღირებულებამ 31483,46 ლარი შეადგინა.

სანთელი

კლიმენტი შელია

ერთი წელი გავიდა მას შემდგე, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, მამა. ტკივილით, სევდითა და სიცარიელით აღსავსე ერთი წელი. ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები და გვიყვარხარ. შენ გამორჩეული, განსაკუთრებული ადამიანი იყავი. საუკეთესო მამა და ბაბუა.

ვიცით, რომ შენ და დედა ერთად ხართ ზეციურ საქართველოში და მუდმივად ლოცულობთ შვილებზე, შვილიშვილებზე, შვილთაშვილებზე, ყველა თქვენიანზე.

არ გემშვიდობებით, როცა უფალი ინებებს, ჩვენ აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს და ისევ ერთად ვიქნებით.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი კეთილი სული.

შვილები

უშანგი შერმაზანაშვილი ოჯახით გამოთქვამს ღრმა მწუხარებას ომისა და სამხედრო ძალების თბილისის საქალაქო კავშირის თავმჯდომარის, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილის, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალრის, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქის, გადამდგარი პოლკოვნიკის

მოსე ჯიმშეთის ძე მდინარაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ომარ დალაქიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო კავშირის თავმჯდომარის, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილის, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალრის, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქის, გადამდგარი პოლკოვნიკის

მოსე ჯიმშეთის ძე მდინარაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

მთაწმინდის რაიონის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თბილისის საქალაქო ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის, დიდი სამამულო ომის მონაწილის, შესანიშნავი პიროვნებისა და ღირსეული მამულიშვილის, თბილისის საპატიო მოქალაქის, გადამდგარი პოლკოვნიკის

მოსე მდინარაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.
ნათელში ამყოფე მისი ლამაზი სული!

ვახტანგ ჯაფარიძე, ოთარ ბართაია, დავით რაფავა, ამირან ჯინჭარაძე, ბაკურ ბაქრაძე.

„მთაწმინდის“ პარკის ყოფილი თანამშრომლები იუწყებიან დირექტორის

გრამიტონ (ვალიკო) ხოფერიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 19 III, 14 სთ. მისამართი: მეუნარგიას №9 (ნაძალადევი).

მარტვილის „მერანის“ პრეზიდენტი, ბიზნესმენი ფრიდონ ინჯია ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატის

ნაული ჯანაშიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

ის იყო უაღრესად კეთილშობილი, როგორც იტყვიან, სიტყვის პატრონი ადამიანი. ის არასდროს შეურაცხყოფდა ოპონენტებს, არ ერეოდა არაკანონიერ საქმეებში, იყო სპორტსმენი და შესაძლებლობის ფარგლებში სამაგალითოდ ედგა გვერდში ადგილობრივი ფეხბურთის გუნდს. მარტვილს მისგან ძალიან ბევრი კარგი საქმე ახსოვს. ბუნებით ძალიან გულისხმიერი ადამიანი იყო. სრულიად უცხო პირებს აბსოლუტურად უანგაროდ ეხმარებოდა. მანვე ააშენა ეკლესია ჭყონში. იყო თბილი, მზრუნველი და მოსიყვარულე მამა და მეუღლე.

ქართველ ხალხს და, უპირველეს ყოვლისა, მის მშობლიურ კუთხეს ნამდვილად დააკლდა კიდევ ერთი უაღრესად კეთილშობილი და პატრიოტი ადამიანი. გულწრფელად ვწუხვარ მისი გარდაცვალების გამო და ჩემი ოჯახის სახელით ვუსამძიმრებ მის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

◎ სულიერება

პოვნა ძელისა ჭეშმარიტებისა და სამსჭვალეთა ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში



19 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში ჭეშმარიტი ძელისა და სამსჭვალეთა პოვნას.

...ცნობილია, რომ იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯის დროს გამოიყენეს ხის მორი, რომელიც ბოგირად იყო გადებული სიონის კედლებთან ჩამომდინარე ნაკადულზე; ამბობენ, რომ თვით ხე წარმოადგენდა კედარის, ნაძვის და კვიპაროსის ერთ ტანად აღმოცენებულ მცენარეს.

მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ, ჯვრის ძელად გამოყენებული ეს მორი, გოლგოთაზე, მიწაში ჩაფლეს.

კონსტანტინე მეფე თავგამოდებით ცდილობდა, აღმოეჩინა ძელი ჯვრისა.

326 წელს კონსტანტინე მეფის დედამ, დედოფალმა ელენემ იპოვა გოლგოთის ჯვარი, იერუსალიმში.

მეოთხე საუკუნეში კონსტანტინემ საქართველოს უსახსოვრა გოლგოთის ჯვრის განივი ფიცარი, რომელზეც იესო ქრისტეს ფეხები ედო, ხოლო ჯვრის უმეტესი ნაწილი ეკუთვნის იერუსალიმის საპატრიარქოს.

* * *

დღესვე არის ხსენება მღვდელმოწამის დოსითეოზისა, ქუთათელი მიტროპოლიტისა (წერეთელი, 1820 წ.).

გიული ლიპარტია

◎ ინფორმაცია

ტრაგედია რკინიგზაზე

ქუთაისის მახლობლად, ბროწეულას რკინიგზის სადგურთან ახლოს გუშინ მამაკაცს მატარებელი დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 275-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც რკინიგზის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას ეხება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

მათივე ცნობით, დაღუპული შუა ხნის მამაკაცია. რა ვითარებაში მოხდა უბედური შემთხვევა და როგორ აღმოჩნდა მამაკაცი სარკინიგზო ლიანდაგთან, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ. მათი თქმით, დეტალები გამოძიების შედეგად დადგინდება.

◎ ტესტი

სმა-ჭამა დიდად შესარგი?..

გაიარეთ ტესტი და გაიგეთ, რამდენად სწორად იკვებებით

1. ყოველდღე საუზმობთ, სადილობთ და ვახშმობთ?
ა) დიახ.
ბ) გააჩნია ჩემ საქმიანობას კონკრეტულ დღეს.
გ) არა, ყოველთვის ვერა.

2. სამუშაოდან სახლში დაბრუნების შემდეგ, საშუალოდ რამდენი დრო გადის მანამდე, სანამ მაგიდას მიუჯდებოდეთ?
ა) სულ ცოტა ნახევარი საათი.
ბ) საათი და მეტი .
გ) უმალვე ვცდილობთ, რაღაც შევჭამოთ.

3. როგორ ირჩევთ კერძს?
ა) ვჭამთ, რაც ხელთა გვაქვს.
ბ) მათი საკვები ღირებულებების შესაბამისად.
გ) მივირთმევთ ყველაფერს, რაც მოგვწონს.

4. ჩვეულებრივად ჭამის დროს თქვენ:
ა) იცავთ წესს: „როცა ვჭამ, არაფერი მესმის“.
ბ) ყურს არ უგდებთ ათასნაირ საუბარს.
გ) კითხულობთ პრესას ან უყურებთ ტელევიზორს.

5. ხშირად ჭამთ ხმელა პურს?
ა) ასეთი რამ ხშირად ხდება.
ბ) ზოგჯერ.
გ) პრაქტიკულად არასოდეს.

6. ყოველთვის კარგად ღეჭავთ საჭმელს?
ა)არა, ეს ჩემი საქმე არაა.
ბ) ერთნაირად არ გამოდის, ყველაფერი იმ დროზეა დამოკიდებული, რომელიც მაქვს.
გ) რასაკვირველია, კი.

7. ცხელი საჭმელის მიღების შემდეგ თქვენ, როგორც წესი, უმალვე იწყებთ ჩაის სმას?
ა) არა, ჩაის სმას გადავდებ ხოლმე ნახევარი საათით, ერთი საათით.
ბ) სხვადასხვაგვარად.
გ) დიახ, უმალვე.

8. ჭამთ ღამით?
ა) დიახ, ხდება ხოლმე.
ბ) საღამოს ექვსი საათის შემდეგ არ ვჭამ.
გ) ვწყვეტ საკვების მიღებას დაძინებამდე სულ ცოტა ორი საათით ადრე.

9. იცავთ ცალ-ცალკე კვების პრინციპებს?
ა) დიახ.
ბ) ხანდახან, მაგრამ მთლიანად ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.
გ) არა.

10. ცდილობთ, დაიცავთ წესი: „დღის განმავლობაში არ შევზღუდო თავი ჭამით, თუმცა, ვჭამო ულუფებით“?
ა) დიახ, რასაკვირველია.
ბ) წესი ვიცი, მაგრამ მას ყოველთვის ვერ ვიცავ.
გ) არა.

შეაჯამეთ ქულები ცხრილის გამოყენებით და გაეცანით დასკვნებს

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ა	1	2	3	1	3	3	1	3	1	1
ბ	2	1	1	2	2	2	2	1	2	2
გ	3	3	2	3	1	1	3	2	3	3

10-16 ქულა. მახვილსიტყვა სოკრატმა თქვა: „იმისთვის კი არ ვცხოვრობთ, რომ ვჭამოთ, არამედ ვჭამთ იმისთვის, რომ ვიცოცხლოთ“. თქვენ, ეტყობა, გათვითცნობიერებული ხართ საკითხში, თუ როგორ და როდის ჭამოთ, რითაც ეხმარებით თქვენს ორგანიზმს იცხოვროს და იმუშაოს მაქსიმალური შედეგით.

17-23 ქულა. თქვენთვის ცნობილია ჭეშმარიტება, რომ ჭამას გადაყოლა, ისევე როგორც მისადმი უყურადღებობა, უგუნურობაა, მაგრამ ზოგჯერ ეს თქვენ გავიწყდებათ. კარგი იქნებოდა, მიგეპყროთ მეტი ყურადღება იმისთვის, თუ როგორ ჭამთ, მეტი პასუხისმგებლობით, რომ სამომავლოდ დაიცვათ თავი პრობლემებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან, არასწორ კვებასთან.

24-30 ქულა. დადგა დრო, რომ დაფიქრდეთ, რომ შეცვალოთ თქვენი წეს-ჩვეულებები, ვინაიდან, როგორც ჩანს, დიდად არ ზრუნავთ იმისთვის, თუ რას მიირთმევთ. ეცადეთ, პირველ ნაბიჯებად, არ მიუჯდეთ სუფრას, როდესაც ძალიან დაღლილი ხართ ან გაღიზიანებული. საკვების ასეთი მიღება სიკეთეს არ მოგვიტანს. ნუ ჭამთ ძალიან სწრაფად. ეს ვერ დაგაკმაყოფილებთ. წესად იქციეთ, მიირთვათ დღეში ორჯერ და უარი არ თქვათ ცხელ საკვებზე.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— თუ შეიძლება, მომეცით სამედიცინო სპირტი, — ეუბნება ტიპი აფთიაქარს.
— რეცეპტი გაქვთ?
— რომ მქონდეს, თვითონ დავამზადებდი.

* * *

— რამ გაგიჩინათ განქორწინების სურვილი? — ეკითხება მოსამართლე ქალს.
— როგორ გითხრათ...
— თქვენი ქმარი სვამს?
— არა.
— ნარკოტიკებს ღებულობს?
— არა.
— ხელფასი ცოტა აქვს?
— საკმაოდ კარგი ხელფასი აქვს.
— გცემთ?
— არა.
— ბავშვებზე ზრუნავს?
— კი.

— გღალატობთ?
— არა.
— როგორც ქალს გაკმაყოფილებთ?
— კი.
— საოჯახო საქმეებში გეხმარებთთ?
— კი.
— მაშინ რატომ გსურთ განქორწინება?
— იცით რა, უფალო მოსამართლევ, ყველაფერს აკეთებს, რაც საჭიროა, მაგრამ ერთი განახათ, როგორი გამომეტყველებით აკეთებს ამას!

* * *

როდის დავქორწინდი, მახსოვს, სად — მახსოვს, ვისზე დავქორწინდი, ისიც კი მახსოვს.

მხოლოდ ერთი რამის გახსენება არ შეიძლია: რა ჯანდაბისთვის?

* * *

— რით დავაწყნარო გოგო, რომელიც სერიოზულად არის ნერვებმოშლილი?
— ვერაფრით. გაიქეცი...

რედაქცია
29 9-62-77; 568 82-09-84.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24